

973

საქართველოს  
საბავშვო ჟურნალი



**სამგზაო 10**  
**1973**





შეძლო ადიდებულ ალაზანს, ამიტომ პირველ რიგში ნაპირ-სამაგრები მოუმზადეს.

ზემო ალაზნის სარწყავი არხის მშენებლობასთან დაკავშირებით სპეციალური ტრესტი — „ალაზანმშენი“ შეიქმნა. ამ ტრესტში შედის ხუთი სამშენებლო სამმართველო, რომლებსაც არხის ტრასა დანაწილებული აქვთ და ყველა თავის საქმეს აკეთებს. სათავე-ნაგებობის მშენებლობა, მაგალითად, თავიდანვე მიენდო მეორე სამშენებლო სამმართველოს, რომელსაც გამოცდილი ინჟინერი კონსტანტინე თულაშვილი ხელმძღვანელობდა. მაშინ ამ სამმართველოში ერთ-ერთი უბნის უფროსად მუშაობდა ახალგაზრდა ინჟინერი ვიული

ანდეს. ასე რომ, საპირკველის ჩყრიდან დამთავრებამდე ამ უბანზე მუშაობდა და სათავე-ნაგებობის შესახებ ყველაზე უკეთ მან იცის ყველაფერი.

ჩვენ შევხვდით ვიული ლოლაძეს და ჩამდენიმე კითხვით მივმართეთ:

— პატივცემულო ვიული, რა სტადიაშია ახლა სათავე-ნაგებობის მშენებლობა?

— შვიდი წელი შენდებოდა სათავე-ნაგებობა. უამრავი ბეტონის სამუშაო შევასრულეთ. შემდეგ ერევნიდან ჩამოვიტანეთ რკინის ასაწვე-დასაწვევი ფარები, დავამონტაჟეთ, შევღებეთ, ფასადი მოვაპირკეთეთ, გავალამაშეთ. სპეციალურად აშენებულ ოთახში დავამონტაჟეთ ავტომა-

ტური მართვის აპარატურა, რომელსაც აქვს წყლის გამწვანებულობის რვა ფარის ასაწვე-დასაწვებად, ორი — წყლის დონის მაჩვენებელი, ორი — ავარიული შემთხვევების თავიდან ასაცილებელი სიგნალიზაცია (ნათურა და ზარი). ერთი სიტყვით, სათავე-ნაგებობა უახლესი ტექნიკით შევანარაღეთ და შარშან დავამთავრეთ მისი მშენებლობა.

ახლა საქმარისია პულტს თითი და აპირით, რომ რკინის მძიმე ფარები ნელ-ნელა დაეშვება და ალაზანი თავის გზიდან ბალ-ვენახებისკენ გადაუხვევს. დიახ, ბალ-ვენახებისკენ, იმიტომ, რომ სათავე-ნაგებობის პარალელურად დავამთავრეთ პანკისის ხეობაში სარწყავი ქსელის მოწყობა. პანკისისა და მატნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობების მშრომლებს ახლა ნებისმიერ დროს შეუძლიათ თავიანთ ბალ-ვენახებში მიუშვან ალაზნის წყალი და მორწყან.

— მეორე სამშენებლო სამმართველომ ამით დაამთავრა თავისი საქმიანობა?


— არა, არ დაუმთავრებია. გარდა სათავე-ნაგებობისა, ჩვენ არხსაც ვაშენებთ. მშენებლობას ძალიან აძნელებს რთული რელიეფი. არხის ტრასა ორ ნაბიჯს რომ ვაკეზე გაფლის, მესამეზე ან მთას მიადგება, ან ხევს. მთა კი ძლიერია, მას არ სურს ვინმეს წინაშე დაჩოქება. მაგრამ არც ჩვენი მშენებლები იხვევენ უკან, სძინელებს არ ეპუებიან. პირდაპირ მივიტანეთ იერიში სატრედოსა და მატნის მთებზე — დავიწყეთ გვირაბების გაყვანა, რომელთა საერთო სიგრძე (მარტო ჩვენს სამმართველო-



არხის მშენებლობაზე.



მართვის კულტან.



ლოლაძე. იგი ძალიან კარგად უძღვებოდა თავის უბანზე გაჩაღებულ მშენებლობას. ხელმძღვანელობა დარწმუნდა, რომ მას უფრო მეტის გაკეთება შეეძლო და ამიტომ მთავარ ინჟინრად დააწინაურეს, ხოლო შემდეგ იმავე სამმართველოს უფროსობა მი-

ში) ოთხნახევარ კილომეტრს უდრის. არხის ტრასა გვირაბებს რომ დააღწევს თავს, ხეობას გადაეყრება. ამრიგად მარტო მიწის გათხრა და არხის დაბეტონება რომ გვიხდებოდეს, აქამდე ვინ იცის რამდენი ხნის დამთავრებული გვექნებოდა. მშენებლობას ისიც ართულებს, რომ არხის გასაყვანად გვიხდებოდა და გვიხდება დიუკერების, გალერეების, გვირაბების, ხიდების, მიწაყრილების, წყალშემკრებების და სხვა ათასგვარი ნაგებობის მშენებლობა. სიძნელეები, რა თქმა უნდა, არის, მაგრამ არის შრომითი ენთუზიაზმიც. არხის ტრასას რომ გაჰყვებით, ყველა უბანზე, ყველა ბრიგადაში ნახავთ ახალგაზრდებს, კომკავშირელებს. ისინი ტოლს არ უდებენ გამოცდილ გვირაბგამყვანებს, მებეტონეებს, მექანიზატორებს; აქ ადამიანები თავდადებით შრომობენ, რადგან იციან, რომ დიდსა და საშვილიშვილო საქმეს აკეთებენ.

— როცა დამთავრდება ამ რთული საირიგაციო სისტემის მშენებლობა, რა სიკეთეს მოუტანს იგი ქვეყანას?

— ძალიან დიდ სიკეთეს მოუტანს სახალხო მეურნეობას. ზემო ალაზნის სარწყავი არხი შიდა და გარე კახეთის რაიონებში 110 ათას ჰექტარ სავარგულს მოარწყვავს. სარწყავი წყლის რაციონალური გამოყენება, აგროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელება უზრუნველყოფს მოსავლიანობის მკვეთრ ზრდას. მაგალითად, ყურძნის მოსავლიანობას ერთ ჰექტარზე 50-დან 100 ცენტნერამდე გაზრდის, ხილისას — 80-დან 125 ცენტნერამდე. ასევე მკვეთრად გაიზრდება ბოსტნეულის, შემოდგომის ხორბლის, სიმინდის, მუხუნაშორის და სხვა კულტურების მოსავლიანობა. ყოველივე ამის შედეგად საზოგადოებრივ მეურნეობებში საერთო პროდუქციის ღირებულება 13,8 მილიონი მანეთიდან 100,1 მილიონ მანეთამდე გაიზრდება.

— სარწყავი სისტემა რამდენ ხანში აანაზღაურებს მშენებლობაზე გაწეულ ხარჯებს?

— მშენებლობაზე გაწეული ხარჯები არხის ექსპლოატაციის დაწყებიდან ოთხი-ხუთი წლის მანძილზე მთლიანად ანაზღაურდება.

— პატივცემულო ჟიული, ამ დიდ მშენებლობაში მოსწავლე-ახალგაზრდობა თუ ლებულობდა ან ახლა თუ ლებულობს მონაწილეობას?

— მშენებლობაში თავისი წვლილი შეაქვს მოსწავლე-ახალგაზრდებს. მშენებლობა დაიწყო თუ არა, ზაფხულის არდადეგების დროს ჩვენს

სამშენებლო ობიექტებზე სამუშაოდ მოვიდნენ და ახლაც მოდიან საშუალო სკოლის მოსწავლეები, ეწერებოდნენ და ეწერებიან მებეტონეთა თუ მეარმატურეთა ბრიგადებში და უფროსებს ტოლს არ უდებენ შრომაში. მათგან მინდა დავასახელო ახმეტის პირველი საშუალო სკოლის მოსწავლეები: ნოდარ ნადირაშვილი, თამაზ და იური ბერძენიშვილები; ახმეტის მეორე საშუალო სკოლის მოსწავლეები: მურთაზ შათირიშვილი, ოთარ პატარაშვილი, შალვა ჩოხელიშვილი, აწურის საშუალო სკოლის მოსწავლე შოთა ჟორჟოლაძე, მატნის საშუალო სკოლის მოსწავლეები: აკაკი შათირიშვილი, ნოდარ ჭიჭიშვილი, თამაზ თალიაშვილი, საკობიანოს საშუალო სკოლიდან სპარტაკ მოკვერაშვილი, დუისის საშუალო სკოლიდან ირაკლი ჩეკურიშვილი, ბადრი ქისტაშვილი და სხვები.

ბევრმა მათგანმა უკვე დაამთავრა საშუალო სკოლა და ჩვენთან დარჩა სამუშაოდ, ზოგმაც უმაღლესში განაგრძო სწავლა. ისინი არც ახლა გვივიწყებენ, არდადეგების დროს ჩამოდიან და კვლავ ჩვენთან მუშაობენ.

შემდეგ „ალაზანშენის“ მმართველის მოადგილეს შალვა დობორჯინიძეს ვესტუმრეთ და მასაც მივმართეთ რამდენიმე კითხვით.

— ეყოფა კი ალაზნის წყალი 110 ათას ჰექტარს მოსარწყავად?

— რა თქმა უნდა, არ ეყოფა. ალაზანი მთლიანად რომ არხზე გავუშვათ, ეს იმას ნიშნავს, რწყვის პერიოდში დავაშროთ იგი, მოვკლათ! აბა, წარმოიდგინეთ, რა იქნება კახეთი ალაზნის გარეშე. ესეც რომ არ იყოს, ალაზანს ქვემო სარწყავი სისტემაც აქვს. ასე რომ, მისი დაშრობა არ შეიძლება. ამიტომ გადაწყვეტილია, პანკისში აშენდეს 200 მილიონი კუბმეტრი ტევადობის წყალსაცავი. იქ დაგროვებული წყლის მარაგი საჭიროების შემთხვევაში სარწყავად გამოიყენება. შიგ თევზიც მოშენდება. ალაზანი კი, როგორც მიედიდება, ასე ივლის თავისი გზით.

— კაშხლის მშენებლობა როდისლა დაიწყება?

— ნავარაუდევია, კაშხლის მშენებლობა დაიწყოს 1975 წელს. ამჟამად ამ საკითხის ტექნიკურ-ეკონომიურ დასაბუთებაზე მუშაობს საქართველოს სსრ მეღიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს



ჟიული ლოლაძე,  
„ალაზანშენის“ მეორე სამშენებლო სამმართველოს უფროსი.

საპროექტო ინსტიტუტი „საქსახწყალპროექტი“.

— გარდა თავისი ძირითადი სამუშაოებისა, კიდევ რა მშენებლობებს აწარმოებთ?

— ტრესტი „ალაზანშენი“ ბინებსაც აშენებს. მშენებლობის ზონის მოსახლეობისათვის გამოგვყავს სასამელო წყალი დუმასტურიდან და წიწმატიანიდან; ვაშენებთ ალაზნის მარჯვენა შენაკადების ნაპირ-სამაგრებს. ავაშენებთ და ექსპლოატაციაში გადავიცით თელავის რკინა-ბეტონის დამამზადებელი, მანქანა-მექანიზმების შემკეთებელი ქარხნები...

— სად, რომელ ორგანიზაციაში შეიქმნა ამ მშენებლობის პროექტი და ამჟამად რა ურთიერთობა აქვს მას თქვენთან, მშენებლებთან?

— პროექტი დამუშავდა „საქსახწყალპროექტში“, ამ ინსტიტუტს ახლაც საქმიანი ურთიერთობა აქვს ჩვენთან. ის კი არა და, მუშა-გეგმების საპროექტო ჯგუფმა თბილისიდან თელავში გადმოინაცვლა. ახლა საშუალება გვაქვს ყველა გასარკვევი საკითხი სწრაფად გავარკვიოთ. ამან მნიშვნელოვნად დააჩქარა მთელი რიგი საკვანძო საკითხების დროულად გადაჭრა.

„ალაზანშენის“ ხუთივე სამშენებლო სამმართველო გაცხოველებით მუშაობს. ყველას თავისი სამუშაო გეგმა აქვს, თავისი საზრუნავი.

გავა დრო, დამთავრდება ეს საშვილიშვილო საქმე. კახეთის ბარაქიან ბალ-ბოსტნებს მორწყავს ალაზნის წყალი და ერთი-ორად იმატებს ქართული მიწის ხვავი და ბარაქა.



# შინა პენსიანაძე

ნაკრება მგალაქა

დოკუმენტური მოთხრობა

მხატვარი რ. ცუცშირიძე.

## პროლოგის მაგიერ

პოდპოლკოვნიკ ვახტანგ ქანთარიას-თან სრულიად არასაბავშვო საქმემ შემახვედრა. იგი ზესტაფონის რაიონის სამხედრო კომისრად მუშაობდა და საბჭოთა არმიის რიგებში ახალგაზრდების მორიგ გაწვევასთან დაკავშირებით რედაქციის დაკვეთით წერილი მოგიტანა.

როცა ჩანთიდან წერილი ამოიღო, ფურცლებს ყმაწვილის სურათი ამოჰყვა. ბიჭს სამხედრო ფორმა ეცვა, მკერდს უმშვენებდა გვარდიელის ნიშანი და სამი მედალი: „კავკასიის დაცვისათვის“, „ბერლინის აღებისათვის“ და „გერმანიასზე გამარჯვებისათვის“.

ყმაწვილის ვინაობამ დამაინტერესა.

— ო, ეს ძველისძველი სურათია. —

## მამა

— ქანთარია! — ამოიკითხა მასწავლებელმა ჟურნალში და პასუხს დაელოდა.

არავის უპასუხნია.

— ქანთარია! — უფრო ხმაძაღლა გაიმეორა, სათვალე შეისწორა და კლასს გადახედა.

ჩვეულ ადგილას, „კამჩატკაზე“, ანუ ბოლო მერხზე, ქერათმიანი, ცხვირაპრეხილი ბიჭი ვახტანგ ქანთარია იჯდა, მომუჭულ ხელზე საფეხქელი დაეყრდნო და ფანჯარაში და-

გაეღიმა ვახტანგ ქანთარიას. — მეც არ ვიცი, აქ როგორ მოხვდა. ლვოვში, მამაჩემის სახელობის მუზეუმისათვის მთხვევს ომისდროინდელი სურათი...

— დიას, მე გახლავართ! — მიპასუხა ვახტანგმა, როცა ხელმეორედ ვკითხე, როგორ, ეს თქვენა ხართ-მეთქი? — მე-ხუთე კლასიდან ომში გავიპარე და ბერლინამდე მივედი...

აი, ეს სურათი და ის ამბავი, რომელიც ჩემი დაქინებული თხოვნით მიამბო ვახტანგმა.

ვახტანგის ნაამბობზე საყმაწვილო დოკუმენტური მოთხრობის დაწერა გადავწყვიტე. ჯერ პირველი თავიც არ მქონდა დამთავრებული, რომ ქუთაისი-

დან (იქ ცხოვრობს ვახტანგის ოჯახი) მეტად სამწუხარო ამბავი მაცნობეს — ვახტანგ ქანთარია გარდაიცვალა.

ახალგაზრდა პოდპოლკოვნიკს ორი ვაჟიშვილი დარჩა. ორივე პიონერია. ორივეს გადაწყვეტილი აქვს მამის კვალს გაჰყვნენ და სამხედრო სასწავლებელი დაამთავრონ ქალაქ ლვოვში, სადაც „დიდების ბორცვზე“ დიდი პატივითაა დაკრძალული მათი ბაბუა ივანე ქანთარია, ხოლო იქაური პიონერები ჩვენნი თანამემამულის პატივსაცემად თავს „ნორჩ ქანთარიელებს“ უწოდებენ. ამ მოთხრობას იმათ. ხსოვნას მივუძღვნი, ვინც დიდ სამამულო ომში თავისი წილი სისხლი დაღვარა.

ერკვა. ინსტინქტურად წამოხტა.

ლიდა მასწავლებელმა მხარზე ხელი დაადო, თან კითხვა გაუმეორა:

— რას იწერება მამა?

— გუშინ მივიღეთ წერილი. მამა 394-ე მსროლელთა დივიზიის მეთაურად დაუნისწავთ. ამ დივიზიაში მისი ყოფილი 808-ე მსროლელთა პოლკის მებრძოლებიც შედიან თურმე, ვინც ცოცხალი გადაარჩა. კავკასიონთან ვღვაჯართ, მძიმე ბრძოლები მოგველის, მაგრამ დავიხოცებით და საქართველოს მიწას მტერს არ წავაბილწვინებთ.

ფიქრებული იცქირებოდა. ბავშვურ სახეზე ისეთი ფიქრთა ჭიდილი ეხატებოდა, რომ მასწავლებელმა დასატუქსად აღარაფერი თქვა, საკლასო ჟურნალი დახურა და დინჯად გაემართა ბოლო მერხისაკენ.

ვახტანგს არ გაუგია მასწავლებლის მიახლოება.

ლიდა მასწავლებელი ერთხანს ჩუმად იდგა.

კლასიც გაისუსა.

— რას დაფიქრებულხარ, ვახტანგ? წერილი ხომ არ მიგიღიათ?

ვახტანგი შეკრთა. ფიქრიდან გამო-

ვახტანგის ხმაში სიამაყის ნოტები აუღერდა, უხაროდა, რომ ასეთი მამაცი და უშიშარი მამა ჰყავდა. დარწმუნებული იყო, სანამ მამამისის დივიზია კავკასიონთან იდგა, მტერი ნაბიჯსაც ვერ გადმოდგამდა...

მამამისის ბევრ თანამებრძოლს პირადად იცნობდა.

ომის დაწყების წინ ვახტანგის მამის — პოდპოლკოვნიკ ივანე ქანთარის ნაწილი ერთ ქალაქში იდგა.

საყვირი მხნედ უხმობდა მებრძოლებს. თვალისდასამხამებში ლაზათიანად იყო გაწყობილი საწოლები. მხარზე პირსახოცგადაკიდებული ჯარისკაცები ყრიაშულით გარბოდნენ ნაკადულისაკენ.

ვანო ბავშვობიდანვე აღრე ადგომას იყო ჩვეული. ირიყრაყებდა თუ არა, ლოჯინში ვერ ჩერდებოდა. თვითონ ხომ დგებოდა და დგებოდა, ბავშვებსაც არ აჩერებდა საბნისქვეშ. ეს მამინ ხდებოდა, როცა შვეებულეზას შინ ატარებდა.

ოთარს და ვახტანგს თბილი ლოჯინი არ ეთმობოდათ. დედას ეცოდებოდა ბიჭები და ვანოს უსაყვედურებდა:

— კარგი, შე კაცო, აცალე ბავშვებს ძილი, აქაც ყაზარმაში ხომ არ ხარ!

მაგრამ ბიჭების საბანს მამა ზევით აფრიალებდა და თან მუჭში საყვირით ჩასძახოდა:

— ტა, ტა, ტა, ტა, ტა, ტა, ტა. ტა-აა!

ვახტანგი ცალთვალმოხუჭული უცქეროდა მამას და უცდიდა, როდის იტყოდა, აბა, პირველად ვინ დამეჭიდებო.

ვახტანგი კატასავით ისუჰებდა და მამას კისერზე დაეკიდებოდა. ტახტის წინ, ხალიჩაზე ჭიდაობა იმართებოდა. ძილისგულა ოთარი ამასობაში დროს იხელთებდა, წართმეულ საბანს დაიბრუნებდა და თავიან-ფეხებიანად გაეხვეოდა შიგ. იცოდა, ჭიდაობა ასე მალე არ დამთავრდებოდა და ერთი პატარა სიზმრის ნახვას კიდევ მოასწრებდა.

ხალიჩიდან ვახტანგის ქშენა, მამის „ბიჭოს, მერვეას“ ძახილი ისმოდა. მერე, გოლიათური აღნაგობის ვანო ბეჭებით ეკვროდა ხალიჩას, რაც ვახტანგს ენით აუწერელ სიხარულს ჰგვრიდა.

— ბეჭები, ბეჭები! სუფთა მოგებაა...

— გადარევეს ამ ბიჭს, ისეც გადარეულია, — ამბობდა დედა და ქათ-

ქათა სუფრაგადაფარებულ პატარა მაგიდაზე საუზმეს ალაგებდა.

— ეზოში ვისაუზმით, თამარ, აგერ ლელვის ძირში. რაც მეტ ხანს იქნებიან ჰაერზე, მით უკეთესია ბავშვებისათვის.

— ჰაერი არ აკლიათ მაგათ, მთელი დღე ქუჩაში დარბიან. ასეც არ შეიძლება, ვანო, ბავშვები სტუმარით გიციქერიან; ბიჭები არიან, ახლოს რომ გყავდეს, მეტი რიდი ექნებათ.

ვანო დაფიქრდა. არ იცოდა, რამდენ ხანს მოუწევდა ნაწილში ყოფნა და არ უნდოდა ცოტა ხნისთვის მამისეული კერიდან აეყარა ცოლ-შვილი, მაგრამ თამარიც მართალი იყო.

ბიჭებს აშკარად ესაჭიროებოდათ მამის ხელი. თვითონაც ძალიან უჭირდა უოჯახოდ გაძლება. ახლაც, წყაროსკენ გაქცეული ახალგაზრდა ჯარისკაცები რომ დაინახა, თავისი ბიჭები გაახსენდა.

„ნეტავ მართლაც აქ მყავდნენ. ამათთან ერთად მივაჩვევდი რეჟიმს. ვავარჯიშებდი, მშვიდადაც ვიქნებოდი.“

— ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, ნება მომეცით... — გამოეჭიმა ვანოს ახალგაზრდა ლეიტენანტი.

ვანომ ხელით ანიშნა „თავისუფლად“ და შინაურულად ჰკითხა:

— ნიკა, შენ ქუთაისში აპირებ წასვლას, არა?

— დიახ, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, ხუთშაბათს მივედივარ.

— ჩვენებთან წერილი გაგატან, იქნებ მოახერხონ და შენთან ერთად წამოვიდნენ, ა? ბიჭები მენატრებიან.

ახალგაზრდა ლეიტენანტს ლოყები შეუფუაკლდა, ესიამოვნა, პოლკის მეთაურმა რომ ასეთი ნდობა გამოუცხადა.

— არის, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო. ორშაბათს 8 საათსა და 30 წუთზე თქვენი ვაჟკაცები აქ იქნებიან.

„მორს, ამომავალ მზეზე ბრწყინავდა კავკასიონის თოვლით დაფარული მწვერვალები. საღამომობით, როცა მოწმენდილ ცაზე ვეებერთელა მთვარე ამოვიდოდა და ხვევრდოვანი ზეცა ვარსკვლავებით მოიჭედებოდა, კავკასიონის მხრიდან გრილი, მაცოცხლებელი ნიავი მოჰქროდა. ალვის ხეების ხეივანს იქით კი, სადაც კოლმეურნეობის ზვრები იწყებოდა, დამეულ სიჩუმეში კარგად ისმოდა ურმის ჭრიალი და ნიავს მოჰქონდა მეურმის ბებრული, გაბზარული ხმა: „შენ, ჩემო შავო კამეჩოო და“...“

ყაზარმებში სიწყნარე იდგა. ჯარისკაცებს მშვიდად ეძინათ.

პოლკის მეთაურს არ ეძინებოდა. ოჯახზე ფიქრობდა. უფროსი შვილი,



ვახტანგ კანთარია.

ოთარი, წყნარი და დამკრე ეზრდებოდა. ვახტანგი — მოუსვენარი, დაუდგარი. თავი სულ ახალ-ახალი იდეებით ჰქონდა სავსე. ხან მოდრეიფე ყინულზე ოცნებობდა, საიდანღაც ჩელიუსკინელთა სურათები მოჰქონდა. ხან საფრენოსნო სკოლასა და პარაშუტისტობაზე ფიქრობდა და მამას ეკითხებოდა: ჩკალოვმა მოსკოვში მართლა ხიდის თაღქვეშ გაატარა თვითმფრინავი თუ არაო; ლაპიდევსკიმ როგორ დასვა ყინულზე თვითმფრინავი ჩელიუსკინელთა გადასარჩენადო. ერთხელ კი ისეთი რამ ჰკითხა, კაცი დაიბნა. გიორგი სააკაძისა და მისი ვაჟის — პაატას ამბავი წაეკითხა. ამბავს ძალიან აელეღვებინა.

შემოვიდა თუ არა მამა სახლში, ვახტანგი შეეგება, ვარსკვლავიანი ქული ჩამოართვა და სასადილო ოთახში შეჰყვა. მამა მიხვდა, ბიჭს რაღაცის თქმა უნდოდა.

— რა იყო, ვახტანგ, გააფუჭე რამე?

ვახტანგმა უარის ნიშნად თავი გააქნია.

— აბა, გცემა ვინმემ?

ბიჭმა ისევ გააქნია თავი.

— რა იყო აბა, შე კაცო, რა ცხვირპირი ჩამოგტირის!

— მამა, გიორგი სააკაძე როგორი კაცი იყო?

— ოჰო, თავიდან ასე გეტქვა, კაცო, გული გამიხეტქე. გიორგი სააკაძე ბრწყინვალე მხედართმთავარი და კარგი ქართველი ვაჟკაცი იყო. რა მოხდა, რატომ შეგებარა ეჭვი მის კიკაცობაში? — მამა ხუმრობის გუნებაზე დადგა.



— პატა რომ დატოვა შაპის კარზე, ხომ იცოდა, რასაც უზამდა შაპი?

— იცოდა, შვილო, მაგრამ სხვა გამოსავალი რომ არ იყო? ის, როგორც ერის რჩეული მამულიშვილი, ვალდებული იყო ასე მოქცეულიყო. მისგან ასეთ მსხვერპლს მოითხოვდა სამშობლო. ის, რაც მან გააკეთა, პირად თავგანწირვაზე ბევრად მეტია. ამგვარი რამ ყველას როდი შეუძლია.

— შენ, მამი?

— რა მე? — დაიბნა მამა.

— შენ დამტოვებდი?

ვანოს გააუჩუოლა, თავი უნებლიეთ გააქნია, ვაბრაზდა.

— ვახტანგ ჩემო, ჭკვიანი ბიჭი მგონიხარ და სისულელეს კი ამბობ. სადღაა ახლა შაპობა და მძევლობა. გაიქეცი ერთი, თუ კაცი ხარ, ჭიდან ცივი წყალი მოძირბენინე.

ბიჭმა დოქი აიღო.

ვანო დიდხანს იდგა ერთ ადგილზე. ჰაერი ეცოტავა, ფრენი შეიხსნა და ფანჯარა გამოაღო. ცას ახედა. ლურჯ ცაზე ერთი ღრუბელიც არ ჩანდა. სამშობლოს ჯერჯერობით მშვიდობიანი ზეცა ეხურა.

...ოჯახის მოლოდინსა და პოლკის საქმეებზე ზრუნვაში მალე გაიბრინა ერთმა კვირამ.

რომ გაიგეს, პოლკის მეთაურის ოჯახი ჩამოდისო, ვანოს საძინებელი ოთახის გვერდით ერთი დიდი ოთახი გაათავისუფლეს. ჯარისკაცებმა ბიჭებისათვის ორი არმიული რკინის საწოლი და ორიც მწვანედ შეღებილი უზურგო სკამი, ერთი ძველი საწერი მაგიდა და მწვანესაფარიანი ნავთის ლამპა შემოიტანეს.

ამგვარად მორთული ბინის პარმალზე ორშაბათ დილით ახალგაზრდა ლეიტენანტის თანხლებით ორი მოკლეშარვლიანი და ლურჯხალათიანი ბიჭი გამოჩნდა. ვახტანგს შარვლის ზონრები უკან ჯვარედინად ჰქონდა შეკრული; ხოლო ესპანურ ყაიდაზე შეკერილ ლურჯ ქუდზე წითელი ვარსკვლავი უბრწყინავდა.

ბიჭებმა ჩემოდანი ოთახის კუთხეში დადგეს და, მიუხედავად დედის გაფრთხილებისა, „მამათქვენის მოსვლამდე ხელი არაფერს ახლოთო“, ახალი სამყოფლის საფუძვლიან შესწავლას შეუდგნენ.

ოთარმა ძველი რადიომიმღები ჩართო. მიმღებმა მწვანე თვალი ზარმაც კატასავით გამოაჭყიტა, ერთხანს ახამხამა და მერე ჩაქრა.

ხრიალი მიწყდა.

— გაუფჰდა, — საქმიანად შენიშნა ოთარმა.

ის-ის იყო დედა მის დატუქსვას აპირებდა, რომ კარი გაიღო და გა-

ხარებულმა მამამ ორივე ბიჭი მეკრდზე მიიკრა.

— მამი, აქ მდინარე არის? — ჰკითხა ვახტანგმა, მამის ალერსით რომ გული იჯერა.

— არის, მაგრამ ყველგან ბანაობა არ შეიძლება, ჩვენს ბიჭებს კი აქვთ შერჩეული საბანაო ადგილი.

— ბანაობა არ გამახსენო, — ჩაერია საუბარში დედა, თან ჩემოდანი გახსნა და ნეშოში გამომცხვარი მჭადი, მრგვალად მოხარშული ქათამი და წელში გამოყვანილ ღვინის ჭიქაში ჩაყრილი დანაყული საკმაში ამოიღო. ქონდრის, ქინძისა და ნივრის მადისალმძივრელი სუნი დადგა და ამ ჯარისკაცურად მკაცრი საცხოვრებლის შიშველ კედლებში ოჯახური მყუდროება დააბუღა.

— იცოცხლე, ბანაობისათვის მაგათ მოხვდათ. წყალწითელა არ იკმარეს, თურმე რიონზე დაბრძანდებოდნენ და თეთრი ხიდიდან ხტებოდნენ წყალში. წარმოგიდგენია? ხომ გახსოვს, რამხელა თეთრი ქვეები ყრია იმ ადგილზე. თავი რომ დაერტყათ, რას ფიქრობდნენ? — თამარს ახლაც სიფითრემ გადაჰკრა, მაშინდელი შიში რომ გაახსენდა.

მამამ წარბები შეკრა. ერთი პირობა ბიჭების შეხურება დააპირა, მაგრამ მალე გადაიფიქრა, რადგან საშინაობა უკვე განვლილი იყო. თანაც გაახსენდა, თვითონაც რა თავპირის მტერვეით ხტებოდა სწორედ იმ ადგილიდან რიონში და როგორ დასცილობდნენ იმ „დედას ბიჭებს“, ვინც ვერ აბარებდა ვაჟკაცობის ამ აუცილებელ გამოცდას.

— ვინ გასწავლათ ხტომა? — იკითხა მამამ.

ბიჭებს ჯერ კიდევ ვერ გაეგოთ, გაუჯავრდებოდა მამა თუ აპატიებდა ამ საქციელს.

ვახტანგმა ჩალისფერი წარბები ზევით აზიდა და ჩიბურტყუნა:

— რა სწავლა გვენდოდა! მთელი ჯგუფი წავედით, თორმეტი ბიჭიდან მარტო ორი ვერ გადახტა — ჯონი და გიგლა. ჯონი მხდალია, გიგლას კი მამამისის შეეშინდა, მომკლავსო. — მამა, რატომ იბადებთან მშინებები?

მამამ ხუჭუჭ ქოჩორზე ხელი გადაუსვა შვილს:

— აბა, ყველა ერთნაირი ხომ არ იქნება. თუმიც ადამიანი უნდა ცდილობდეს, ისე გამოიწროოს ნებისყოფა, რომ მტკიცე და შეუღრეველი იყოს. შენ გგონია, გმირებს კი არ ეშინიათ ხანდახან? მაგრამ გმირობა სწორედ ამ შიშის დაძლევაა.

ვახტანგი ყურადღებით უსმენდა. ეტყობოდა, კიდევ სურდა რაღაცის თქმა, მაგრამ მამამ შეაწყვეტინა:

— ახლა კი ვისაუბრობ, ახლო. რამდენი ხანია ეს პიტხიანი ჩადლო და ნეშოში გამომცხვარი მჭადი არ მიჭამია. ყოჩაღ, თამარ, ყოჩაღ, რომ არ დაგვიწყნია, რაც მიყვარდა.

ბიჭებმა მეორე ოთახიდან სკამები გამოიტანეს და ოჯახი ერთად შეუდგა საუზმობას, რაც საკმაოდ იშვიათად ხდებოდა, და ამის გამო ყოველთვის საზეიმო ელფერი გადაჰკრავდა.

ის-ის იყო ვახტანგი და ოთარი მამასთან ერთად ახლომანლო მიდამოების დასაზვერად აპირებდნენ გასვლას, რომ დერეფანში ტელეფონი აწყრილდა.

პოლკის მეთაურს სასწრაფოდ თხოვდნენ ნაწილში გამოცხადებას.

ბიჭები აბუზღუნდნენ.

მამა ისევ ტელეფონს მიუჯდა და ნომერი აკრიფა.

— ალო, ალო! შალვა, ერთი თხოვნა მაქვს და უარი არ მითხრა. შენს თორნიკეს უთხარო, ამხანაგებს გამოუაროს და ჩემთან წამოვიდნენ. ამ დილით ბიჭები ჩამოვიდნენ და მოწყენილები არიან.

## შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა

## მ დ ი ნ ა რ ა ე ზ ი

ნაშუადღევს. კარზე მორიდებული კაკუნი გაისმა.

ოთარმა კარი გააღო.

პარმალზე სამი ბიჭი იდგა.

მათ შორის უფროსს, თორნიკეს, წარბებქვეშ შავი თვალები თელავდა, თავზე ძველი პილოტურა ეხურა, შარვალზე მძიმე ბალთიანი ქაძარი ერტყა.

„ამ ქამრით ლახტს ვითამაშებდი“, — გაუელვა ვახტანგს და სტუმრებს უთხრა:

— შემოდით, რას დგახართ კარებში.

თორნიკემ წინ გამოათარა ცხვირდაქორფლილი, მუხლებგადატყაული ტოლიკი და პატარა, მუცელგაბერილი, მოკლეშარვლიანი ბიჭი, რომელსაც უცნაური სახელი — ვალტერი ერქვა და მისი უფროსი ძმა თორნიკე მოკლედ ვატუს ეძახდა.

ვატუ შარვლის ტოტში ჩაფრენოდა ძმას და ხელის გამშვებას არ აპირებდა.

— ეს ჩემი ძმაა. ყველგან ამეკიდება ხოლმე, უამისოდ ფეხი ვერსად გამიდგამს, — წარუდგინა თორნიკემ მასპინძლებს სახლიკაცი და თან თავში წიკბურტი უთავაზა, — ყვავს კაცი ჩამოუვარდა, აგერ, ა, მიფრინავს, — უთხრა ძმას.

ვატუმ პირი გაალო და ყვავის და-  
სანახად ზევით დაიწყო ყურება.

— ეს კი ჩვენი მეზობელი ტოლი-  
კია. მამამისი ოფიცერია, ბაბუა კი  
სამოქალაქო ომის გმირია და, იმდენი  
საინტერესო ამბავი იცის, გაგიუდე-  
ბით.

თორნიკე მეორე ოთახიდან გამო-  
სულ თამარს ზრდილობიანად მიე-  
სალმა და მასაც წარუდგინა სტუმ-  
რები.

თამარი ისევ შებრუნდა მეორე  
ოთახში და ცოტა ხნის შემდეგ იქი-  
დან ქარვისფერი ჯანჯუხი და ტკბილი  
კვერის ნაჭერი გამოიტანა, ვატუმ კალ-  
თაში ჩაისვა და გაუმასპინძლდა.

ვატუმ თვალისდახამხამებში მო-  
ათვა სასუსნავი და ბოხი ხმით თქვა:

— კარგი იყო, კიდევ შევჭამ.

თორნიკე გაწითლდა და თამარს  
სხვა რამეზე ჩამოუდგო საუბარი.

— მოდი, „როშჩაში“ წავიდეთ, —  
წამოაყენა წინადადება აქამდე ჩუმად  
მდგომმა ტოლიკმა.

ტოლიკი სასაცილოდ ლაპარაკობდა  
ქართულად, ზოგ სიტყვას რუსულად  
ამბობდა და ქართულ თანდებულს  
ურთავდა. დიდი ხანი არ იყო, რაც  
მამამისი საქართველოში გადმოვიდა  
და ცოლ-შვილი გადმოიყვანა. ნიჭი-  
ერმა ბიჭმა მალე აუღო ალღო ქარ-  
თულ ენას, მაგრამ ჯერ ისე მაინც არ  
იყო დაუფლებული, რომ სუფთად  
ელაპარაკა.

ვახტანგმა წამოავლო ხელი თავის  
ვარსკვლავიან ესპანურ ქელს და ბი-  
ჭები კისრისტეხით დაემუნენ კიბეზე.  
ჭიშკართან მათ სიურპრიზი ელო-  
დათ. — ტოლიკის ორბორბლიანი,  
ნიკელისსაჭიანი, ცინცხალი ველოსი-  
პედი.

დიდი ხანია ასეთი ველოსიპედი  
ვახტანგის და ოთარის ოცნება იყო,  
მაგრამ მისი განხორციელება ბი-  
ჭებს ვერც წარმოედგინათ.

ადრე ქუთაისში ერთი ძველისძვე-  
ლი, მამამისის ნაქონი ველოსიპედი  
ჰქონდათ, იგი მთელი ნინოშვილის  
ქუჩის ბიჭების საერთო საკუთრებად  
ქცეულიყო და დღეში რატომ ას კი-  
ლომეტრს არ გადიოდა.

ველოსიპედს საბურავები მოცვე-  
თილი, საჭე მორყეული და სატერ-  
ფულებიც მოშლილი ჰქონდა, მაგრამ  
მაინც ხელიდან ხელში გადადიოდა  
და ბიჭების სათაყვანებელ ნივთად  
იყო ქცეული.

ტოლიკის ახალთახალი ველოსიპე-  
დი კი მზეზე ვერცხლისწყალივით  
ბრწყინავდა. ნამდვილი ფარებით, სა-  
ბარგულით, ვერძის რქებივით ლაზა-  
თიანად აზნექილი პრილა საჭეთი,  
რომლის აქეთ-იქით რეზინის სახე-  
ლურები იყო ჩამოცმული.







სრულ წესრიგში იყო სასიგნალო ზარი და, ასე გასინჯეთ, გასაბერი დღეშიც მწვანედ შეღებულ კორპუსზე ჰქონდა დამაგრებული.

ეს ველოსიპედი ტოლიკს მამამისმა ხარკოვში უყიდა იმის აღსანიშნავად, რომ ვაჟმა ფრიალებზე დაამთავრა ოთხი კლასი. ბიჭი თვალისჩინივით უფრთხილდებოდა საჩუქარს. ისე არ დაწვებოდა, ზავერდის ნაჭრით არ გაეპრიალებინა კორპუსი და სველი ჩვრით — საბურავები.

— ჩამოცხა, კარგი იქნებოდა გავგრილებულიყავით, — თქვა თორნიკემ. — წავიდეთ სათავეზე, ვიბანათ.

— ცურვა ხომ იცით? — შეეკითხა ტოლიკი სტუმრებს.

ოთარმა კიო, მიუგო, ვახტანგმა კი დუმული არჩა. იფიქრა, მდინარემდე მივიდეთ და იქ გაჩვენებთ, რა ცურვაც ვიცით.

ტოლიკი და ვახტანგი პირველი რეისით გაემგზავრნენ.

— თქვენ ფეხით წამოდიტ, მეორე გზობაზე ვალტერს წავიყვან, — გადაძახა ველოსიპედზე გადამჯდარმა ტოლიკმა ბიჭებს და სიგნალი მისცა, თუმცა ამის არავითარი საჭიროება არ ყოფილა — შარაზე კაციშვილი არ ჰქაჩნებდა. ზარმა ვერცხლის ზანზალაკივით გაიწკრილა და ველოსიპედი მცხუნვარე, მტვრიან შარაზე გაქროლდა.

იმერულ კოპწია ეზობსა და ჩვილ სიმწვანეს მიჩვეულ ვახტანგის თვალს აქაური ეზობის სიშიშვლე ეუცხოვა. სახლები ქუჩისკენ ზურგშექცევით იდგნენ, თითქოს ქუჩას გაბუტვიან და მისთვის ერთიანად ზურგი უქცევიათო.

ვახტანგს ფარცხანაყანევი გაახსენდა — ბაბუამისის სოფელი. გაზაფხულზე იმ სოფელში გავლას არაფერი სჯობდა. ერთბაშად, თითქოს ხანძარი გაუჩნდაო, ეზობში იფეთქებდა ასფურცელა წითელი ვარდები. იშლებოდა იასამანი, ლილისფერი ქრიზანთემა და ზამბახი. ამას წამოეწეოდა ვაშლისა და კომშის ყვავილობა და ისეთი სუნი იდგა ეზობსა და ორლობებში, კაცს გააბრუებდა. მერე ქარი დაუბერავდა და ახლა მწვანე კონდარი მოიფინებოდა ვარდის, ატმისა და კომშის ყვავილთა ფურცლებით.

ყველა სახლის ფანჯარა ქუჩისკენ იხედებოდა და ყველა ფანჯრის რაფაზე ქოთნის ყვავილები შემოედგათ. სახლთან ახლოს, ბოსტანში, ბიბინებდა წიწმბატი, ქონდარი, მოლოქა, ფხალი, თვის ბოლოკი, ომბალო, ორლესული ხანჯლებივით შეემართათ მწვა-

ნე, მაგარი ფოთლები პრასსა და კლაკეს...

აქ, ეზობებში, არ ჩანდა სიმწვანე. მალე ვენახები დაიწყო და ვახტანგის თვალწინ სულ სხვა სურათი გადაიშალა. ზურმუხტისფრად ბრწყინავდა შაბიამანშესხურებული ვაზის ფოთლები, შიგადაშიგ ვენახებიდან ნაზად იცქირებოდა ატამი. ზოგი ვენახისათვის გარშემო ალვის ხეები შემოეყოლებინათ. ვენახშივე მიჰყვებოდა სარს ლობიოს ლერწი. ბოლოს მდინარეც გამოჩნდა. წყნარად და მდორედ მიედინებოდა. შორიდან ასე იფიქრებდით, არც კი მოძრაობსო.

მდინარესთან, იფნის ძირში შეჩერდნენ. ბიჭების გამოჩენამ შინაური იხვეების დიდი გუნდი დააფრთხო. ყიყინით წამოიშალნენ და მდინარეს მიასურეს. ბიჭებმა მზით გამთბარი წყალი პირზე შეისხეს და ტოლიკი მეორე რეისისათვის მოემზადა.

— მოდი, ტოლიკ, მე წავალ, — სთხოვა ვახტანგმა.

ტოლიკი ერთხანს შეყოყმანდა, მაგრამ მალე დაეთანხმა.

—ნუ გეშინია, ველოსიპედს გავუფრთხილდები! — გახარებული ვახტანგი ველოსიპედს მოახტა. შარაზე ბიჭები გამოჩნდნენ. უფრო მძლავრად დააწვა სატერფულებს და, ტარების კლასი რომ ეჩვენებინა, საჭეს ხელი უშვა, მერე მკვეთრად დაამუხრუჭა.

თორნიკემ რიგი სულგრძელად დაუთმო ოთარს.

— ვატუ საბარგულზე შევსვათ, მჩატეა, არა უშავს, — თქვა ვახტანგმა.

ვატუ მაშინვე გაეჩანა ველოსიპედისაკენ და საბარგულზე აპორტყდა.

მტვრიან შარაზე მარტო თორნიკე დარჩა.

— დაგეწევით, — გასძახა ბიჭებს და ფეხს აუჩქარა.

სანამ თორნიკე მდინარემდე მიალწევდა, იქ ერთი ამბავი მოხდა.

ბიჭებმა ტანსაცმლის გახდა დაიწყეს და ვატუს უთხრეს:

— შენ ტანსაცმელს მიხედე, ამა-სობაში თორნიკეც მოვა. — და ყიყინით გადაეშვნენ წყალში.

ვახტანგმა სწრაფად მიალწია მდინარის შუაგულს და ჩაყვინთა. ორჯერ ამოიტანა ფსკეროდან ყველივით თეთრი, გლუვი და სრიალა ქვა.

ოთარს ზურგზე ცურვა უყვარდა და ნელა მიჰყვებოდა მდინარებას.

ტოლიკმა ვახტანგთან გაჯიბრება გადაწყვიტა.

ბიჭებს სულ გადაავიწყდათ ტანსაცმლის სადარაჯოდ დატოვებული ვატუ.

ვატუს მოსწყინდა გუშაგობა ქლინარესთან მივიდა და ფეხები წყალში ჩაყო. ნაპირთან ახლო წყალში დიდი თეთრი ქვა ეგდო. ვატუს იმ ქვაზე შეჯდომა მოუნდა. ფრთხილად შეტოპა წყალში, სლიპინა ქვაზე ფეხი გაუსხლტა და ტყაპანი მოაღინა.

შეშინებულმა ხელ-ფეხი ააფართხალა, საყვირლად პირი დააღო, მღვრიე წყალი ჩაყლაპა და მყისვე ქვასავით წავიდა ძირს...

ვახტანგმა და ტოლიკმა ყვინთვით გული იჯერეს და მხარულით გამოემართნენ ნაპირისაკენ.

ვახტანგმა პირველმა შენიშნა, რომ ვატუ ადგილზე არ იყო. სანამ რამეს იტყვოდა, ტოლიკმაც დაიძახა:

— ვატუ!  
— ვატუ! ვატუ!

ბიჭები ბუჩქნარს ეცნენ, აქ ხომ არსად დამალულაო, ამ დროს მდინარიდან ოთარის ყვირილი მოისმა:

— აქეთ, აქეთ! მომეშველეთ!

ვახტანგი ორი ნახტომით მდინარესთან გაჩნდა. სწრაფად გასცურა იქით, საიდანაც ოთარი უხმობდა, და ახლად შენიშნა წყლის ზედაპირზე ამოსული ჰაერის ბუშტები.

ბედად, მდინარემ ზემოთ ამოავლო ვატუ. ვახტანგმა ქოჩორში ჩაავლო ხელი, ოთარმა ილლიაში ამოსდო მკლავი და ბიჭი ნაპირამდე მიათრეხს.

— მუხლზე გადამიწვინეთ, ჩქარა მასაყი, — ყვიროდა ვახტანგი.

ვატუს პირიდან შადრევანივით ამოსქდა წყალი; მუცელი რომ დაეჩუტა, ხელოვნური სუნთქვა ჩაუტარა.

ის იყო ბავშვმა თვალი გაახილა, რომ აქოშინებულმა თორნიკემ მოიბინა. აღამიანის ფერი დაჰკარგოდა.

ვატუმ მეორედ გაახილა თვალი, ამჯერად უფრო აზრიანად მიმოავლო მზერა და ძმის ხელს წაეპოტინა.

თორნიკეს გულს ბავაბუფი გაჰქონდა. დაიხარა და ორჯერ აკოცა ვატუს.

— ხომ იცი, შენთვის სათამაშო რევოლვერი მაქვს, ნიკელის, რეზინის ტყვიებს ისვრის.

ვატუს თვალებმა დაინტერესება გამოხატა. მერე სუსტი ხმით თქვა:

— მამას არ უთხრათ, უცაბედად ჩავვარდი.

ბიჭებს გულზე მოეშვათ. ტოლიკი საღდაც გაიქცა და ვატუს მწიფე, ჩამაქრული მყვლით საგვე ქული მოუტანა.

სადილობის დრო გადასული იყო, ბიჭები სახლებში დაბრუნდნენ და მტკიცე სიტყვა მისცეს ერთმანეთს, მომხდარის შესახებ არავისთან კრინტი არ დაეძრათ.



# ომობანა და ობი

შემთხვევამ მდინარეზე ისე დააახლოვა ბიჭები, უერთმანეთოდ ნაბიჯს აღარ დგამდნენ.

სალამობით ნაწილის კლუბში კინოსურათს აჩვენებდნენ.

თორნიკე და ტოლიკი შვიდ საათზე უკვე ძია ვანოსთან იყვნენ და მოუთმენლად ელოდნენ როდის იტყოდა ვახტანგის მამა: — აბა, ახლა კი დროა!

ბიჭებს მუდამ ეჩვენებოდათ, რომ კინოში აგვიანდებოდათ.

იმ დღეს კლუბში „ჩაპაევი“ გადიოდა. ეს ფილმი ნანახი ჰქონდათ, მაგრამ ასჯერაც რომ ენახათ, როდის მოსწყინდებოდათ.

ჯარისკაცები უკვე დარბაზში ისხდნენ და წყნარად ლაპარაკობდნენ.

ვანომ ბიჭები მეცხრე რიგში დასვა და თვითონაც გვერდზე მიუჯდა.

ჩაპაევის დაღუპვის კულმინაციურ წერტილში ვახტანგს გულმა ბაგაბუვი დაუწყაო: იქნებ ამჯერად რაღაც სასწაული მოხდეს და გააღწიოს ნაპირამდე.

ტყვიამფრქვევის ცეცხლით მოცული ჩაპაევი მძიმედ ჩაეშვა წყალში.

სასწაული არ მოხდა. ჩაპაევა ნაპირამდე ვერ მიაღწია.

ვახტანგმა ტუჩები მოკუმბა და ცრემლი გადაყლაპა. შეეშინდა, არ აღრიალბულიყო.

სინათლე აიხთო. ვანომ შეამჩნია, ბიჭებს თვალები დაწითლებული ჰქონდათ.

ჯარისკაცები ხმაურით გამოდიოდნენ კლუბიდან, შესასვლელში თავს იყრიდნენ, რათა მწყობრად, სიმღერით წასულიყვნენ სავაზმოდ.

— Шагом марш! გაისმა ბრძანება და კოლონა შარაზე დაიძრა.

— За-пе-вай! — კვლავ დასჭექა იმავე ხმამ და წუთის შემდეგ პაერი გააპო მხნე, ვაეკატურმა ხმამ:

Шагом, шагом, шагом, братьцы шагом.

ბიჭებმა ფეხი ააწყვეს და სიმღერას აწყვეს.

როცა კოლონამ სასადილოსაკენ გაუხვია, საუბრით განაგრძეს გზა.

დილით ტოლიკმა ვახტანგს და ოთარს ახალი ამხანაგი გააცნო — მაღალ-მაღალი, ჩალისფერთმიანი ბიჭი, მაიორ ნიკოლაევის შვილი კოლია.

— მოხარული ვარ თქვენი გაცნობისა. ძია ვანოს კარგად ვიცნობ, მა-მაჩემის მეგობარია, — თქვა კოლიამ და ბიჭებს ხელი ჩამოართვა.

კოლია სპორტული აღნაგობის, დაეწინაურებული გამომეტყველების მქონე თავის თოთხმეტ წელთან შედარებით ბევრად უფროსად გამოიყურებოდა.

იგი არდადეგებზე ჩამოსულიყო მამასთან.

კოლიას გაცნობის შემდეგ ბიჭების არდადეგები უფრო საინტერესოდ წარიმართა.

— მოლით, ომობანა ვითამაშოთ, — თქვა კოლიამ.

— ვითამაშოთ, ვითამაშოთ, — დაეთანხმა ყველა.

— კომპასის გამოყენება თუ იცით? — იკითხა კოლიამ.

— კომპასის? რა უნდა კომპასს, სულ ჩრდილოეთს აჩვენებს, ადგები და ივლი ჩრდილოეთისაკენ! — უღარდელად თქვა თორნიკემ, თან გულში გაიფიქრა: მართლა სირცხვილი კია, კომპასის რომ არაფერი გამეგებო.

ვახტანგს მამის საწერი მაგიდის უჯრაში ნანახი ჰქონდა კომპასი და სწრაფად გადაწყვიტა: ამაღამ მამაჩემს ყველაფერს ავახსნევიანებო.

— აზიმუტზე წარმოდგენა გაქვთ? — ისევ იკითხა კოლიამ.

სიჩუმე ჩამოვარდა.

— ვარსკვლავების მიხედვით თუ შეგიძლიათ გზის გაკვლევა ტყეში?

— მე კი! — რიხიანად თქვა ვახტანგმა, თან გულში გაივლო: ამ ერ-





თი ციციქა ქალაში გზა არ დამეკარგება. ვიტყვი, რომ ვარსკვლავებით გავიგნე-მეთქი, მაგრამ მერე შერცხვა და აღიარა:

— ვარსკვლავებით ისე რა, სამაგიეროდ, მე ვიცი როდის გაწვიმდება, — მერცხლები რომ დაბლა-დაბლა დაიწყებენ ფრენას. ეს იცოდი?

— დიდი ამბავი! ლაშქრობაზე რომ მივდიოდით, ან სოკოზე ტყეში, მეტს რას ვაკვირდებოდი. კი მაგრამ, თქვენ სკოლაში ან ბანაკში არ ვასწავლეს? აბა როგორ უნდა ვითამაშოთ ომობანა? არც რუკის შედგენა იცით?

თორნიკემ იცოდა, როგორ აღინიშნებოდა სამხედრო რუკაზე ჭაობი, მდინარე, დასახლებული პუნქტები, ხილი, ამიტომ ხმამაღლა წამოიძახა:

— როგორ არ ვიცი!

— რომელი სალაშქრო სიმღერები იცით? — განაგრძობდა კოლია დაკითხვას.

«Если завтра война,  
Если завтра в поход...»

— წაიმღერა ვახტანგმა.

ამ სიმღერით დაამთავრეს სკოლაში უკანასკნელი რაზმეულის შეკრება. ქუთაისის მე-9 რუსულ საშუალო სკოლას, სადაც ვახტანგი სწავლობდა, ეზო არ ჰქონდა, ამიტომ რაზმეულის შეკრებას ხშირად ატარებდნენ ქალაქისა და გარეუბნის ისტორიულ ადგილებში: ხან ბაგრატიის ტაძრის ნანგრევებზე, ხან გელათში. იქიდან კი რაზმეული დაფდაფებით, საყვირების მარშითა და მხიარული სიმღერით ბრუნდებოდა უკან და ძირითადად სალაშქრო — მხნე და ხალისიან სიმღერებს მღეროდა.

ვახტანგმა და ოთარმა სალაშქრო სიმღერების ცოდნისათვის კოლიას შექება დაიმსახურეს.

— აზიმუტზე მე გავარჯიშებთ, — დაპირდა ნიკოლაევი ბიჭებს, — მაგრამ კარგი იქნება პლანშეტი რომ ვიშოვოთ. მეთაური უპლანშეტოდ წარმოუდგენელია.

— ვიშოვით, — მტკიცედ თქვა ვახტანგმა, — იმედი ჰქონდა მამა პლანშეტზე უარს არ ეტყოდა.

— პილოტურებიც გვაქვს, წითლები ჩვენ ვიყოთ, — წინადადება წამოაყენა თორნიკემ.

ბიჭებმა გადაწყვიტეს, ორი დღის მზადების შემდეგ ომი გამოეცხადებინათ ადგილობრივი ბიჭებისათვის.

მათთან მოლაპარაკება თორნიკეს დაევალა.

ომის ასპარეზი ძირითადად იქნებოდა რიყე და პატარა ტყიანი მასივი, რომელშიც ძველისძველი საკულტო ნაგებობის ხავსმოდებული ნაშთი შემორჩენილიყო. ვარაუდობ-

დნენ, რომ ამ ნაგებობას მიწისქვეშა გვირაბიც უნდა ჰქონოდა.

ახლა მთავარი იყო, დაეთანხმებოდნენ თუ არა მოწინააღმდეგეები „თეთრობაზე“.

ამ ბოლო ხანებში მამა შინ გვიან ბრუნდებოდა. რამდენიმე წუთით შემოირბენდა სადილობის დროს, აჩქარებით შეჭამდა, ბიჭებს გამოეღაპარაკებოდა და ისევ ნაწილში მიდიოდა.

— ბავშვები მაინც ვერ განახლობენ. თუკი ასე იქნებოდა, რაღა საჭირო იყო ჩვენი ჩამოსვლა, — წამოსცა საყვედური თამარს.

— ცოტა ხანი მოითმინე, თამარ. ახალ პოლკს ვაყალიბებ, ახალ ხალხს ვიღებ. მოვსრულები ამ ამბავს და პირობას გაძლევ, მთელ შევებულებას შინ გავატარებ. სწორედ იმ დროისათვის ავიღებ შევებულებას, როცა ბავშვებს არდადეგები დაუმათვრდებათ. გამოგიტყდები, სულ უფრო ხშირად ვფიქრობ, ბავშვები სკოლაში აქ ხომ არ გადმოვიყვანო-მეთქი.

ვანო ატყობდა, რომ თამარი მოწყენილი იყო. ბიჭები მთელ დღეს აღმა-დაღმა დარბოდნენ. თვითონ ადრე დილით გადიოდა და ქალი მთელ დღეს ამ შიშველ კედლებს შეჩერებოდა.

— ზეგ, თამარ, ყვარელში წაგიყვანთ, ილია ჭავჭავაძის სახლ-კარს გაჩვენებთ, კახეთის ზვრებს დაგათვალიერებინებთ.

ამ დროს სახლში ბიჭები შემოცვივდნენ.

— სად მივდივართ? — იკითხა ოთარმა.

— ყვარელში, შვილო, ილია ჭავჭავაძის სამშობლოში. მერე წინადალსაც გაჩვენებთ, იყალთოს, შუამთას.

— როდის მივდივართ ყვარელში?

— ზეგ, ჩემო ვახტანგ, ზეგ.

— აჰ, ზეგ ჩვენ არ შეგვიძლია, — მტკიცედ თქვა ვახტანგმა.

— რატომ, თუ საიდუმლო არაა?

— გაეცინა მამას.

— ზეგ ომს ვუცხადებთ...

— ვის, კაცო, ვის ღუბავთ? — ხუმრობას განაგრძობდა მამა.

— მართლა, მამა, ჩვენ არ შეგვიძლია, უკვე სიტყვა მივეცი კოლიას, — თქვა ოთარმა, — ჩვენ წითლები ვართ.

— მერე და, გაგონილა წითლებმა ომი გამოუცხადონ ვინმეს? თეთრები რომ იყოთ, კიდევ მესმის.

— მამა, მე პლანშეტი გვაქვს, — ცოტა არ იყოს გაუბედავად თქვა ვახტანგმა.

— მეთაური ხარ?

— ისე მჭირდება, — პირდაპირ პასუხს თავი აარიდა ბიჭმა.

— ვის ებრძვით, აღარ იტყვი?

— აქაურებს. მამა, ამაღამ აზიმუტი აგვისხენი. არტეკში თურმე, სადაც კოლია ნიკოლაევი ყოველ ზაფხულს დადის, ნორჩ მესახლგრეთა კლუბი მუშაობს. მის წევრებს ყველაფერს ასწავლიან, მაშხანიდან სროლასაც კი.

— კოლია რომელია, მაიორ ნიკოლაევის ბიჭი? ჰო, ის მართლა სერიოზული ყმაწვილი ჩანს. მაგრამ არ, ეს კი არ მომწონს, წითლები რომ ხართ და ომს იწყებთ. უცხადებთ მოწინააღმდეგეს თქვენს განზრახვას. თუ ომის გამოუცხადებლად ესმით თავს?

— თორნიკე გამოუცხადებს.

— მდაა... აბა საქმე სახუმაროდ არ ყოფილა. ჰოდა, ჩემო თამარ, თუ ომია და ქვეყანა იქცევა, ჩვენ რა გვექსკურსიება, გადავდოთ სხვა დროისათვის, როგორც სამხედროს, არ შემიძლია პატივი არ ვცეკო-ლეგებს. — ხმამაღლა იცინოდა ვანო, თან ძველი პლანშეტის მოსაძებნად უჯრას ქექავდა. იქიდან ნაგანი ამოიღო. იარაღი გაფუჭებული იყო და შეკეთებას საჭიროებდა. ვანომ ცოტა ხანს იფიქრა, მერე სწრაფად დაშალა იარაღი, სავანენ ამოაცალა და ვახტანგს გაუწოდა.

— თუ მეთაური ხარ, დაგჭირდება...

ვახტანგი სიხარულისაგან გაიბაღრა, სამაგიეროდ, ოთარმა ცხვირი ჩამოუშვა.

— შენ, ოთარ, ხელყუმბარას მოგიტან, სპეციალურს, სავარჯიშოს. — ანუ გემა მამამ. — ესე იგი, როდის იწყებთ ომს?

— 22 ივნისს! — ერთხმად უპასუხეს ძმებმა.

ბიჭებმა მთელი ღამე ძილ-ფხიზლად გაატარეს. ეშინოდათ, ძილში არ დაგვათენდესო. ამ სიფხიზლემ ის გააკეთა, რომ სწორედ გათენებისას მკვდრებით ჩაეძინათ.

ვანო ჩვეულებისამებრ ადრე ადგა. წაივარჯიშა, წვერი გაიპარსა და, ის იყო ბიჭების გაღვიძებას აპირებდა, რომ წინა ოთახში ტელეფონი აწკრიალდა.

# ს ა ლ მ ა მ უ რ ი ა ნ ი

## ს ი მ ო ნ მ ა მ უ რ ი ა ნ ი

### შეკვანი

ხელში მიჭირავს რქაწითელის  
სავსე მტევანი;  
ყოველ კუმპალში  
წმინდა შუქის  
ჩქეფს შადრევანი;

რას შევადარო  
ხელისგულზე დაუტევარი,  
მზის სურნელებით,  
მიწის ეშხით  
სავსე მტევანი;

ყოველ კუმპალში  
მშობლიური ზეცის ღიმია;  
თითო კუმპალი  
მარგალიტის  
თითო ღილია.

რა ვამჯობინო —  
უფრო მშვენი,  
უფრო ლამაზი  
სხვა არაფერი მეგულება  
ამ ქვეყანაზე!

### ჯიჟი ძიღის წინ

ისინი ერთად იძინებენ —  
ტყე და დათუნა,  
სიზმრების ტევრში  
რომ გალიონ  
თეთრი ზამთარი.  
ტყე ქარებს ძიღშიც დაუხვდება  
წელგამართულად.  
დათვს ელოდება  
ბინა თვისი —  
მყუდრო, დამთბარი.

და, თუმცა ჯერაც შემოდგომის  
მზეა,  
ხანაც წვიმს,  
მდინარეც ხევში  
ძველებური რიხით დგანდგარებს, —  
ხენი ნელ-ნელა  
ტანთ იხდიან  
დიდი ძიღის წინ  
და... დათუნასაც  
უკვე ამოქნარებს...

## გ ი ვ ი ა ლ ხ ა ზ ი შ ვ ი ლ ი

### ჯიჯიენა

ირწოდა ბაღნარებში  
შემოდგომის ჭრელი კაბა,  
ცაცხვის ხეზე იჯდა ჩიტი  
და მღეროდა ტყეთა ზღაპარს.

ვენახებში ქარის ქროლვა  
„დედაენის“ სუნთქვას ჰგავდა.

ფრიალედა გორაკებზე  
გამთენიის ნისლის ფარდა,

„აი, ია,, „ია აი“, —  
დუღუნებდა კალმის წვერი,  
„დედაენის“ ეს ფურცელი  
ქართლის ცაა იისფერი.



უამენ სამშობლოს ზვრებს —  
ხნებს შემოდგომის დღეთა,  
მოდიდებული მზე  
ქარვის მტეიენებში წვეთავს.

შვენის ოცნების ბაღს  
ფერი ქარვის და ლალის  
და ლაჟვარდოვან თაღს  
ვეღარ შორდება თვალი.

ამ უსპეტაკეს ცას  
და ამაღლებულ მზერას,  
ჩვენი ოცნების სწამს,  
ჩვენი ფიქრების სჯერა.


ვაშა მამულის გზებს —  
აინებს, დაჭიმულს მთებში!  
მოდიდებული მზე,  
მზე დაბრძანდება ზვრებში.



სკორბი

ქაბაძე  
ქაბაძე

ფოტო  
გიორგი  
ვახუანიანი.



# კიდევის ჩივილები...

სოფელ ჩხიკვთას რომ გაცდებით, ხას-ხასა ტყე იწყება. იმ ტყეს გაღვეთ და თქვენს წინ გადაიშლება თეთრიწყაროს შემოგარენი.

რაიონული ცენტრისაკენ ფართო ქუჩას მივყავართ, რომლის ორივე მხარეს კოხტა სახლებია ჩამწკრივებული ყვავილნარებითა და ვაზის ფანჩატურებით დამშვენებული ეზოებით. ამ გზის თავში, სადაც ანკარა წყარო მოჩუხჩუხებს, თეთრიწყაროს სკოლა-ინტერნატის ლამაზი, სვეტებიანი შენობა დგას. სწორედ აქ დაუდევს ბინა თბილისის განათლების განყოფილების ბავშვთა და მოზარდთა კომპლექსური სპორტული სკოლის ბანაკს, რომელსაც უკვე მეორედ მასპინძლობენ თეთრიწყაროელები.

სკოლაში თქვენი ტოლები, თქვენზე უმცროსები და უფროსები სწავლობენ, სწავლასთან ერთად იმალელებენ სპორტულ ოსტატობას, იკაფებენ სხეულს, ემზადებიან „დიდი სპორტის“ სარბიელი-სათვის.

თბილისის სპორტსკოლა სამ ათეულ წელზე მეტს ითვლის. ამ სკოლაში აღიზარდნენ ისეთი გამოჩენილი სპორტსმენები, როგორც არიან მორბენალი ლევან სანაძე; მოჭიდავეები: ამური ციმაკურიძე, გივი კარტოზია, რომან რურუა; მოფარიკავეები: გურამ ასათიანი, რევაზ ცირეკიძე და ბევრი სხვა.

სპორტსკოლაში 1800-მდე მოსწავლე ირიცხება, თეთრიწყაროს გამაჯანსაღებელ ბანაკში წასვლის უფლება კი 200 საუკეთესოს მიეცა. ეს მათ კარგი სწავ-

ლითა და სპორტისადმი სიყვარულით მოიპოვეს.

ბანაკში სპორტსკოლის მთავარი მწვრთნელი ტყვიით სროლაში, ბანაკის უფროსი მიხეილ გეგელია შემოგვეგება. როცა ჩვენი მისვლის მიზანი გაიგო, ესიამოვნა, ხალისით გვესაუბრა აღსაზრდელებზე:

— ჩვენი ბანაკის მიზანი ერთია — სრულწლიური წვრთნით გააჯანსაღოთ ბავშვები, ავემაღლოთ სპორტული ოსტატობა, შევაჩვიოთ დამოუკიდებელ მუშაობას. ბავშვთა სრულწლიური წვრთნისათვის საუკეთესო ფორმაა სპორტული-გამაჯანსაღებელი ბანაკი.

ბანაკში მოსწავლეები გაერთიანებულნი არიან ოთხ სახეობაში — კლასიკური და თავისუფალი ჭიდაობა, კრივი, ველოსპორტი. საერთოდ კი, ჩვენთან შვიდი სპორტული სექცია მუშაობს: ზემოჩამოთვლილთა გარდა, კიდევ არის ტყვიით სროლის, ჩოგბურთისა და მაგიდის ჩოგბურთის სექციები. მოსწავლეებთან გამოცდილი მწვრთნელები მუშაობენ. მაგალითად, ჩოგბურთში ბავშვებს ამეცადინებენ საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი მარიამ კლდიაშვილი და ჩვენი ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი ირინა რიაზანოვა; მოჭიდავეებს წვრთნიან საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელები: ნერსეს აკოფოვი და პეტრე იორდანიშვილი, მწვრთნელები: გიორგი ჯულუხიძე, თენგიზ გასვიანი და სხვები.

ბავშვთა აღზრდას ხელმძღვანელობს პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი შოთა ბუაძე.

საუბარი ზარმა შეგვაწყვეტინა.

— საუზმე დამთავრდა, — გვითხრა მიხეილმა. — ახლა დაიწყება წვრთნა სპორტის სახეობათა მიხედვით. საუზმეს კი წინ უსწრებდა სპეციალური ფიზიკური მომზადების ტიპის დილის ვარჯიში, რომელიც ორმოც წუთს გრძელდება.

ბანაკი აფუსფუსდა. კალათბურთის მოედანზე ველოსპორტსმენები ჩამწკრივდნენ, მოკრივეებმა „ძუნძულით“ გადაჭრეს ეზო და იქვე, ტყეში, თითქოსდა საგანგებოდ გაკაფულ მინდორს მიაშურეს; სპორტდარბაზიდან ისმოდა საჭი-ლაო ლეიბებზე სხეულის ზღარათანი...

ბანაკში წვრთნა დაიწყო.

ველოსპორტსმენებს დავალბას ამ-ლევედა მწვრთნელი კონსტანტინე პოგორელოვი. ამ დღეს მოუთმენლად ელოდნენ ველოსპორტსმენები: პირველად გადიოდნენ საწვრთნელად ათკილომეტრიან ტრასაზე. ამ დისტანციასზე ვინც თავს გამოიჩინდა, მათ შორის მოეწყობოდა შეჯიბრება ბანაკის პირველობაზე. სწორედ ბანაკის ჩემპიონობით დაიწყო თავისი სპორტული „კარიერა“ სპორტსკოლის აღზრდილმა, 17 წლის გურამ ჩუქურბიმ. შარშანწინ ჭაბუკი წარმატებით გამოვიდა საკავშირო სარბიელზე.

— ჩვენს რესპუბლიკაში ცოტაა საუკეთესო კლასის ველოსპორტსმენი, — გვითხრა კონსტანტინე პოგორელოვმა. — მიუხედავად იმისა, რომ თეთრიწყაროს მიდამოები მთავორიანია, ბანაკში მაინც



მუშაობს ველოსპორტის სექცია. ეს იმიტომ, რომ სპორტის ეს სახეობა მოითხოვს ინტენსიურ ვარჯიშს და ვცდილობთ წელიწადის ყველა დრო მაქსიმალურად გამოვიყენოთ.

ბანაკში გვყავს პერსპექტიული მოსწავლე-სპორტსმენები: მერვეკლასელები რომან ქრისტესიაშვილი, მერაბ აფციაური, მეცხრეკლასელი — სულხან ამირანაშვილი... მათზე დიდ იმედებს ვამყარებთ. ვფიქრობთ, ისინი გურამ ჩუქურის საიმედო ცვლა იქნებიან.

როცა მოკრივეებთან მივიდით, გამამხნეველები ვარჯიში უკვე დაემთავრებინათ და საწვრთნელი ორთაბრძოლების დაწყებამდე მცირე შესვენება ჰქონდათ, მწვრთნელის გარშემო შებოშსდარიყვნენ და სმენად ქცეულიყვნენ.

მწვრთნელი იური ხანუკაშვილი აღსაზრდელებს უამბობდა სპორტსკოლების წლევეანდელ საკავშირო პირველობაზე, თანაბანაკელების წარმატებაზე.

— შეჯიბრება მოსკოვში ჩატარდა. — ახლა უკვე ჩვენს გასაგონადაც თქვა იური. — ჩვენი ბანაკიდან შეჯიბრებაში მონაწილეობდა თოთხმეტი მოკრივე. გვასახელა ვალერი გოგუაძემ — მეორე ადგილი დაიკავა 50-52 კგ წონით კატეგორიაში; წონით კატეგორიებში მესამე საპრიზო ადგილებზე გამოვიდნენ ალექსანდრე კაკაბაძე, რაფიელ აირაპეტოვი, ომეროზ განჯოიანი და ჯემალ ლობჯანიძე. საერთო გუნდურ ჩათვლაში ბიჭებმა მეხუთე ადგილი მოიპოვეს. ეს დიდი წარმატებაა. ამას კი, ყმაწვილებო, გულმოდგინე მეცადინეობით და კარგი სწავლით მიაღწიეს.

მწვრთნელმა აღსაზრდელებს ხელთათმანები დაურიგა, რჩევა მისცა და, როცა ორთაბრძოლები დაიწყო, ჩვენ მოგვიბრუნდა:

— მართლაც რომ ყოჩალი ბიჭები არიან. მართალია, ჯერ არ მოუპოვებით საკავშირო სარბიელზე გასვლის უფლება, მაგრამ სიბუჯით თავისას გაიტანს. დღეს თუ არა, ხვალ ზოგიერთ მათგანს ვნახავთ რესპუბლიკურ და საკავშირო რინგზე.

დააკვირდით აი იმ მებრძოლ წყვილს. ლურჯმაისურიანი ბიჭუნა მეცხრეკლასელი კონსტანტინე კოსტანიანი გახლავთ. იგი სწავლის ფრიადოსანი და საუცხოო მონაცემების მოკრივეა. სხვები თუ თავისუფალ დროს ჭადრაკს, შაშს თამაშობენ, ან სხვა რამით ერთობიან, კონსტანტინე დაიმარტოხელებს ხოლმე

რომელიმე თანატოლს და განაგრძობს ორთაბრძოლას ან მარტოკა ვარჯიშობს დარბაზში.

კარგი ბიჭები არიან აგრეთვე დავით ქავთარაძე, რევაზ ზურაბაშვილი, თამაზ ბაჩელიშვილი და მურმან მამაჯანოვი.

კრივი მოითხოვს განსაკუთრებულ მონდომებასა და გამბედაობას. ეს თვისებები კი ბიჭებს აქვთ. ამიტომ მათთან მუშაობა ისე უნდა წარიმართოს, რომ გაუათქვეცდეთ ენთუზიაზმი და კრივისადმი სიყვარული. სკოლის მიზანია: ბავშვი რომ მომავალ პროფესიას აირჩევს, არ დაჰკარგოს აგრეთვე სპორტისადმი ინტერესი.

როცა 13 წლის გოლიათს, მეშვიდეკლასელ ბადრი ბართიას ვკითხეთ, ვინ გინდა გამოხვიდეო, ბადრიმ მოგვიგო — იურისტი და მოჭიდავეო.

რამდენი მსგავსი მაგალითის მოწმენი ვართ ცხოვრებაში: ჩვენი სახელმწიფო ჩოგბურთელი ალექსანდრე მეტრეველი პროფესიით ჟურნალისტი, ამ პროფესიის დაუფლებაში მისთვის ხელი არ შეუშლია დიდ სპორტს; ამჟამად ექიმი ნუგზარ გოგიბედაშვილი, წარსულში ცნობილი მოჭიდავე იყო; ჩვენი სასიქადულო მომღერალი ზურაბ სოტკილავა თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის მოთამაშე გახლდათ; ცნობილი კალათბურთელი გურამ აბაშიძე გზის მშენებელი ინჟინერია; რესპუბლიკის ყოფილი ჩემპიონი ბირთვის ტყორცნაში მურზაყან გეგეშიძე მეცნიერი მუშაკია...

— ჩვენი სკოლის თუ ბანაკის აღმზრდელები ერთ მიზანს ვემსახურებით, — გვითხრა გიორგი ჯულუხიძემ — ბანაკის მწვრთნელმა კლასიკურ ჭიდაობა-



მარჯიშობან მოკრივეები.





# პიონერული ცხოვრების მატიაწა



ბადრი ბართია —  
18 წლის გოლიათი.

ში: — პატარაობიდანვე ჩავუნერგოთ მოზარდს სპორტისადმი სიყვარული, რათა უკეთ ემსახუროს ხალხს, არჩეულ სპეციალობას.

თქვენ ახლახან ესაუბრეთ ბადრი ბართიას და მისი პასუხიც მოისმინეთ. ამავე აზრისანი არიან მისი უმცროსი თანაბანაკელები — მესამეკლასელები მამუკა გიორგაძე და ვახტანგ სინჯიკაშვილი.

ჩვენს სკოლაში მხოლოდ ისეთ მო-

ზარდს ვიღებთ, რომელსაც სპორტის ამა თუ იმ სახეობაში მონაცემების გარდა, სწავლის დიდი სურვილი და სპორტის სიყვარული აქვს. შემოწმების შემდეგ ბავშვს ჯგუფში ჩავრიცხავთ ჯერ სათანადო მოსწავლედ, ხოლო როცა თავს გამოიჩენს როგორც სწავლაში, ასევე სპორტში, მას ძირითადი მოსწავლის უფლებას ვანიჭებთ.

დიდ სამსახურს გვიწვევს გამაჯანსაღებელი ბანაკი. აქ გატარებულ დროს შეიძლება ვუწოდოთ „სპორტული მეოთხედი“, რადგან ბანაკში მთელი დრო სპორტს ეთმობა.

ბანაკის დილა იწყება გამამხნეველი ვარჯიშით, რომელსაც მოსდევს სამსაათიანი წვრთვნა სპორტის სახეობათა მიხედვით. დასვენების შემდეგ ბავშვები სამხრობენ და იწყება ვარჯიში საერთო და სპეციალურ ფიზიკურ მომზადებაში.

ხშირად ვატარებთ შეჯიბრებებს სპორტის სხვადასხვა სახეობებში. მოსწავლე სპორტსმენებმა უკვე ჩააბარეს ძუდ ნორმატივები, ვაწყობთ ლაშქრობებს, ექსკურსიებს.

როგორც ხედავთ, ბევრი სარგებლობა მოაქვს „სპორტულ მეოთხედს“.

ახმაურებული ბანაკი ერთბაშად მიწყნარდა.

— დასვენების საათია. — თქვა გეგელიამ.

ფეხაკრფით ვტოვებთ ბანაკს, ჭიმკართან ვემშვიდობებით მასპინძლებს და ფართო გზით ჩხიკეთას ტყისაკენ ვეშვებით. უკან დარჩა ფერდობზე შეფენილი თეთრიწყარო და მწვანეში ჩაფლული სპორტული ბანაკი.



მასწავლალები მათუა გიორგაძე და ვახტანგ სინჯიკაშვილი ზიღარის ახალ ილეთს ეუფლებიან.

1918 წელი... სამოქალაქო ომი. ბევრი ბავშვი უშუალოდ მონაწილეობდა ბრძოლებში.

ცაშეტი წლის ფედია სემიონოვი დაჯილდოვდა — წითელი დროშის ორდენით. იგი იამბურგთან ბრძოლის დროს სანიტრებს ეხმარებოდა ფრონტის ხაზიდან დაქრილების გამოყვანაში, არაერთხელ ყოფილა დაზვერვაზე.

ქალაქ ურალსკში დგას მიშა გავრილოვის ძეგლი. ნორჩმა მშვერავმა მოკლა თეთრგვარდიელი ოფიცერი და შეტევის საიდუმლო გეგმა გამოსტაცა. იგი გმირის სიკვდილით დაეცა.

ლენინგრადში მარსის მოედანზე გრანიტის ფილაზე ქათქათებს წარწერა: „ნორჩ მსახიობ-აგიტატორს კოტე მღებროვს“.

წარმოშობით კოტე მღებრიშვილი მესხეთიდან იყო. მისი მამაპაპა აქ ცხოვრობდა. კოტეს მამა მეფის არმიის ოფიცერი იყო, მაგრამ რევოლუციას თანაუგრძნობდა და ეხმარებოდა კიდეც.

1919 წლის 25 მაისს წითელ მოედანზე საყოველთაო სწავლების საკითხზე სიტყვით გამოვიდა ვ. ი. ლენინი. მიტინგს ესწრებოდნენ მოსკოველი ბავშვები, რომლებიც თავიანთ თავს ნორჩ კომუნისტთა რაზმს უწოდებდნენ. მათი წარმომადგენლები მიუახლოვდნენ ტრიბუნას და ვ. ი. ლენინს სთხოვეს რამდენიმე სიტყვა ეთქვა ნორჩი კომუნისტებისათვის. მაშინ ლენინმა ბავშვებს მოუწოდა გააფართოვონ ნორჩ კომუნართა რაზმი და აქტიური მონაწილეობა მიიღონ ცხოვრების შექმნაში.



# ტკუეზის

მედიკინა

მხატვარი ელ. ამოკაძე

კინისა ორ მოქმედებად

## სურათი მესამე

ბაღა-ბაღი. მზესუმზირას ირგვლივ უამრავი სითბოსმამძიებელი შემოპხვე-  
ვია. ისე გაუწვდიათ მისკენ კისრები, თითქოსდა ცეცხლს იყენენ მიფიცებულნი.

### ისმის შეცივსულთა ხმები:

- სამი დღეა, ასე ვდგავართ...
- სიცვიდან გავხდით ავად...
- ჩუ! არ დაგცდეს სიტყვა... კრინტი!
- რას ბუტბუტებ გამოფხიზლდი!
- შენ დაგედოს ჩემი ცოდვა!
- რაო, რაო?!
- ძილში ბოდავს...

შემოდინ კუტკალია და სკუპია, უკან პეპელა მოჰყ-  
ვებათ...  
კუტკალია — ოჰო! ძლივს არ მოვალწიეთ! (მზესუმ-  
ზირას მიაჩერდება).

ეს, საწყალი ჩვენი ჭრელა!  
სკუპია — ფარფატ, შეხე! აგერ.. აგერ,  
ეს იქნება უმჯველად!  
ფარფატ — აი, თურმე რა ყოფილა!  
გვირილას ჰვავს, დიდ გვირილას...  
კუტკალია — რომ ვუტყერი თითქოს ვთბები...  
კი არ ვთბები... უკვე მთბილა.

სკუპია სიხარულით ხტუნვას დაიწყებს, მერე აცეკვ-  
დება, კუტკალიაც აჰყვება...

სკუპია — ფარფატ, მოდი, შენც იცეკვე,  
რაც ვიწუხეთ, ისიც კმარა!  
ფარფატ — არ გაოცდეთ, ბაღის მკვიდრონო,  
მზის დანახვამ გავგახარა!

სამივენი ერთად ცეკვვენ...  
მზესუმზირა — ეს რა ჩიტი მოფრენილა?!

კილპილი — პეპელა, ვერ იცანი?  
მზის სხივებმა დააბრმავე,  
როგორ უთრთის მთელი ტანი.

მზესუმზირა — (გაოცებული) მზის სხივებმა?!

კილპილი — (თავს უქნევს) კალიებმა?  
გაიხარეს, გაიღიმეს.  
ასე არის, ჩემო კარგო,  
მზის სხივები ახლავს იმედს.

ხორკლია }  
და } — რაო, რა თქვი?!

ფინიკა }  
კილპილი — არაფერი,  
მზის სხივები ახლავს იმედს.  
აი, შეხეთ იმ პეპელას,  
თითქოს სხივი დასციმციმებს.

ხორკლია — (მრისხანედ)  
ნეტა აქ ვინ შემოუშვათ?!  
ფინიკა — უკითხავად, უნებართვოდ!  
(მიცვივდებიან შესაპრობად)

ბოლოკა — (მზესუმზირას)

მათ ეს ცეკვა თქვენ მოგიძღვნეს,  
მზეთამზეს და მნათობთმნათობს!

კუტკალია, სკუპია და პეპელა ფარფატა მზესუმ-  
ზირის წინ დაემხოზიან.

კუტკალია — მზეო, ნატვრა აგვისრულე,  
სხივებს გვაფრქვევ ცხოველმყოფელს...

სკუპია — დიდი გზა გვაქვს გამოვლილი...  
ფარფატ — ნუ გავგავდებ, აქ გვამყოფი...  
მზესუმზირა — ნებასა გრთავთ, დარჩით ჩვენთან,  
აგერ იმ ხეს შეეფარეთ!

ბოლოკა — (ირონით) ძლიერ ახლოს ნუ დადგებით,  
თორემ დაგწვავთ მზე მცხუნვარე!

ხორკლია — შენ კი, ბოლოკა, ჰკუთხე უხმე  
და მოკუმე მაგრად პირი...

ფინიკა — ვერაფრით ვერ გავაჩერეთ  
ეს ბოლოკა და პილპილი!

ბოლოკა — (ვითომ სიმებიან საკრავზე ამღერებდეს)

ზოგი ვახლავთ პილპილივით  
მართალი და ენამწარე,  
უყვარს ბევრი ტვინის ჭყლეტა,  
თვითონ წვალობს, ჩვენც გვაწვალებს.  
ზოგი კიდევ შაქარივით  
ტყბილია და ზედ გვადნება,  
ქვეყანა რომ სულ დაინგრეს  
არაფერი ედარდება...

მარხალა — ამას ალბათ, ჩემზე ამბობ,  
შე სულელო! შე ტინგიცავ!

ბოლოკა — არა ძმაო, მე თვითონ ვარ.

(მზესუმზირაზე მიუთითებს)

ამ ჩვენს გულთბილ დედას ვფიცავ!  
მზესუმზირა — კიდევ რითი გავგახარებ?

ბოლოკა — მინდა უცებ გიძღვნათ ლექსი...  
მზესუმზირა — აბა, გისმენ!

ბოლოკა — (ლექსს ამბობს გადაპრანჭვით, პათეტიუ-  
რად)

არ მოგვაცლდეს,  
შენი სითბო და ალერსი,  
ჩვენი ბაღის ამზევებით  
შენ ბევრი მზე დაამზევე,  
ის მზეები რაში გვირდა,  
რაც არ მიაქვთ, რას გვაძღვევენ.  
მზეო, მზეო, მზეთამზეო,  
დოლაბი ხარ ჩვენს თავზეო,  
ღვინო არ მაქვს და ეს ყანწი  
ჭარხლის წვენი შევავსეო.  
მე რომ ახლა ლექსი გიძღვნე,



კიტრებს შურით გული წყდება,  
შენ ხარ ჩვენი... (რაღაც სიტყვას იგონებს)  
უხ, შეეწუნდი, სულ ეს სიტყვა მაგიწყდება.  
ჩვენო... როგორც იქნა მოიგონა) დიდად ბუკრაქარო!  
(ყველა ტაშს უკრავს)  
ბალტარახტარსათვალთვალო (ტაში ძლიერდება)  
ჭარახთხემელსაკანკალო!  
(ტაშის ცემით ყრუვდება იქაურობა)

მზისშემზირა — ეს რა ლექსი მომიგონა! დიდად გმად-  
ლობთ ჩემო ბოლოკ!

ხორკლია — კარგი იყო, თუმცა ოდნავ  
ვერ გავიგე ლექსის ბოლო...

წვნიბა — რაღაც კარებს ენებოდა,  
საკანკალოს; სათვალთვალოს...

ხორკლია — სჯობს, სულ თავი მივანებოთ,  
უწიგნურად არ ჩავვთვალონ...

ვიშვიშა — ტაშის ცემამ, ჩემო პილილ,  
გადაწყვილიდა ხელზე ტყავი...

პილპილი — ეხ, ვიშვიშავ, დრო გადის და,  
ისევ ის ვართ, რაც ვიყავით!

— კვლავ ეს წვიმა წამოვიდა!

— (უიმედოდ) სულ იწვიმებს, მუდამ ასე...

— შეხეთ, როგორ გვემუქრება

ეს ღრუბელი წვიმით სავსე!

სცენაზე შემობრბიან ვერცხლისფრად მოსირმულ კა-  
ბებში გამოწყობილი წვიმის წვეთები. უცებ ორი პრი-  
კინაც გამოჩნდება, ორთავე ვიოლინოს ააწრიბინებს.

წვიმის წვეთები ცეკვავენ, თან მღერიან:

— წკაპა-წკუპი! წკაპა-წკუპი!

ციდან დაბლა ვეშვებით!

გვსურს ყვავილებს გავუგრძილოთ

დასიცხული ფესვები...

ხმები: — დასიცხული ფესვებიო!

ნეტა ფესვი ვიღას შეგვრჩა!

— დაგვიღა და დაგვიოხრდა!

— ვინც გადავრჩით, დარდი შეგვქამს...

სიმღერას ისევ აკრძელებენ წვიმის წვეთები:

— წკაპა-წკუპი! წკაპა-წკუპი!

ციდან დაბლა ვეშვებით!

ცივციველა წყალი მოგვაქვს

პაწაწინა პეშვებით...

მზისშემზირა — ჩქარა, ჩემო ფოთლის ქოლგა!  
ველარ ვიტან ამ ცივ შეფებს.

ხორკლია — ათასგვარი ფოთოლი გვაქვს,  
რომელიც გსურთ ის ინებეთ!

ყველანი თავთავიანთ ფოთოლა-ქოლგებს შეეუხუე-  
ბიან, მხოლოდ სტაფილოები, პილილი და ზოგიერთი  
ბინადარი დარჩება წვიმაში...

პილპილი — რამე თუ არ მოვიფიქრეთ,  
აქ ჩავლბებით, ამ წუმპეში...

ხორკლია — მოასვენეთ დედოფალი,  
და ხმამალა ნულარ ხვნიშით!

ბოლოკა — რატომ ხვნიშით, დააკვირდით  
მოხტუნავე წვიმის წვეთებს.

თითქოს ერთად გვთავაზობენ

მიწისა და ცის სიკეთეს!

კუტაპალია — წვიმამ იქაც მოგვინელა,  
ნეტავი აქ ვიღას სურდა!

მზისშემზირა — რა ლამაზი წვეთებია...

ბაქია — მზის სხივივით სუფთა... სუფთა.

ჭარხალა — ათასფერად მოვერცხილილი...

ხორკლია — თქვენს სხივებს ჰგავს; მზეო სულმთლად!

ფარფაბა — ლამაზია, მაგრამ ცივი...



გავიყინე... ძლივსლა ვსუნთქავ...  
მზისშემზირა — მოითმინეთ კიდეც ცოტა,  
ამ ჩემს სხივებს ათასფერადს,  
წვიმა როცა გადაიღებს,  
მიმოვფანტავ მინდორ-ველად!

ხორკლია } (იგივე ინტონაციით იმეორებენ)  
და }  
წვნიბა }

— მოითმინეთ კიდეც ცოტა  
და მზე სხივებს ათასფერადს,  
წვიმა როცა გადაიღებს,  
მიმოვფანტავ მინდორ-ველად!  
არა გჯერათ?

ყველა ერთხმად — როგორ არა,  
უიმედოდ ფიქრი გვზარავს!  
— წვიმა როცა გადაიღებს,  
მოგვაშველებს ცა მზის სხივებს?

წვნიბა — დიდი, მზე თუ მიწაზეა,  
აბა, ზეცა რას მოგვაწვდის?!

ვიშვიშა — სითბო მერე რაღად გვინდა,  
სიცვიისგან თუკი დავწყდით!

პილპილი — აღარ გეყოთ მოთმინება?  
ამ ავდარში უქმად გდება...

ხმები — გვეყო! გვეყო!  
რა ვქნათ, გვითხარ!

პილპილი — ეს ავდარი გასტანს დიდხანს,  
რისთვისა ხართ ასე უხმოდ?  
ქარს, ძლიერ ქარს უნდა უხმოთ!

მზისშემზირა — (კიტრებს) გაიგონეთ რა ილაყბა!  
ხორკლია — ხელავთ, როგორ გათამაზდა!

წვენიკა — აქაოდა ბრძენი ვარო...  
მხესუმზირა — შეიპყარით, აბა მარდად!

(ხორკლია და წვნიკა ბარდის ხვეულებით პილპილს  
ხელებს შეუკრავენ.)

ფ ა რ დ ა

მ ო ქ მ ე დ ე ბ ა მ ე ო რ ა

ს უ რ ა თ ი მ ე ო თ ხ ა

სამეფო სავარძელში ზის მზესუმზირა, აქეთ-იქით კიტრები ამოსდგომიან.  
სამივენი ყვინთავენ. იქვე, მზესუმზირას ფერხით, ბოლოკა გაგორებულა და  
გემრიელად ხვრინავს.  
ღობის მიღმა ბაყაყები გამოჩნდებიან. სარებშუა თავს გამოყოფენ და დაქ-  
ყეტილი თვალებით მზეს მიაჩერდებიან.

მეჩი — მზე არასდროს არ გინახავთ?  
მუჟუ — დაგვაფიწყდა, აღარ გვახსოვს...  
მომომ — შენ არ გვითხარ, საკუთარი  
მზე აქვს ამ ჩვენს ბაღჩა-ბაღსო?  
მეჩი — კი გითხარით, ძმებო, მაგრამ...  
მომომ — ჰო, თქვი...  
მუჟუ — რაო, რას გვიმალავ?!  
მეჩი — მზე აქვეა...  
მუჟუ — ვხედავთ.  
მეჩი — მაგრამ...  
სულ არა აქვს მზის სხივის ძალა.  
მუჟუ — (ხითხითებს) ეს ხომ მზესუმზირა არის,  
ჰეი, ყიყი, შე ჩერჩეტო!  
სითბო თვითონ ენატრება,  
სხვისთვის როგორ გაიმეტოს!  
არც გვჭირდება, შენ ამაზე  
არ იჯავრო ყიყი ოდნავ...  
მომომ — რატომ, ძმაო?  
მუჟუ — ავდარშიაც კარგადა ძლებს ჩვენი მოდგმა.  
მალე წვიმა სულ ჭაობად  
გადააქცევს მწვანე მდელს.  
მომომ — ჭაობები რისთვის გვინდა?  
მუჟუ — შიგ მოვილხენთ, შე სულელიო!  
არ დარჩება ამ მიწაზე  
სხვა მოდგმიდან აღარც ერთი  
და იქნება ირგვლივ მხოლოდ  
ყიყი! ყიყი! ბაყაყეთი.  
მეჩი — (ფარფატასთან მივა)  
შეხეთ ერთი, ამ პეპელას!  
მომომ — რა ნაზია და რა კოხტა!  
მუჟუ — ალბათ ძინავს...  
მეჩი — რად არ სუნთქავს!  
მომომ — ვუი, მართლა, ნუთუ მოკვდა?!  
მეჩი — სიცოცხეს განაყინულა...  
და ისე წევს თითქოს ძინავს.  
კვდებოდა და მზე ეგონა  
ეს გულშავი მზესუმზირა.  
ხომ გითხარით, ხომ გითხარით,  
უმზეობით მოვკვდებითო!  
მუჟუ — ჩვენ ვართ ცივისსილიანები  
და ვერ ვიტანთ მზეს და სითბოს.  
(უეცრად მუჟუ აცეკვდება და მას ყოყო და ყიყიც  
აჰყვებიან)

მღერინა:  
— ყიყი! ყიყი! ყიყინები  
წყალში როდი ვიყინებთ.  
ჩვენ ვიხაროთ, ბრალი იმათ,  
ვინც ვერ იტანს ნისლს და წვიმას.  
ხორკლია — (იღვიძებს)  
წუხელ მთელი ღამე წვიმდა,  
წვენიკა — ასე წვიმდა გუშინწინაც.  
ხორკლია — დედოფალი გულს არ იტებს. (ხითხითებს)  
ღლე და ღამე ჭამს და ძინავს.  
ხორკლია — ჭკუით, თორემ თუ შეიტყო.  
ფესვიანად ამოგვიძირკვავს.  
წვენიკა — (შეშინდა)  
არა, ძმაო, განა რა ვთქვი!  
მაგის მეტი აბა ვინ გვყავს!  
ხორკლია — მართალია, ახლა წვნიკავ,  
გვაფასებენ, ყველა გვიცნობს,  
წვენიკა — წინათ?  
ხორკლია — (დაცინვით)  
კიტრი რა არისო,  
თავის ქებად არა ღირსო...  
წვენიკა — ძველებურად ვეღარ ვთბებით,  
მაგრამ ძლიერ შემეყვარდა.  
ხორკლია — დედოფალსაც ყველა უყვარს...  
წვენიკა — ნიავის და ქარის გარდა...  
(ყურში უჩურჩულებს)  
მზე თუ არის, ნიავ-ქარი  
რად ამინებს ძლიერ მიყვირს!  
ხორკლია — მზესუმზირა, ჩემო ძმაო,  
ქარში კარგავს თავის გვირგვინს.  
უეცრად ბოლოკა მომეტებულ ხვრინვას ატეხავს.  
ხორკლია და წვნიკა ჯერ შეშინდებიან: მერე მიეპარე-  
ბიან და წყირით ცხვირის ნესტოში უღიტინიებენ.  
ბოლოკა — (თვალს არ ახელს ისე, ცდილობს აბეზა-  
რი მწერის დაჭერას, თან ლულულულებს)  
კოლოებიც მოგვიმრავლდა...  
ხორკლია — (ხითხითებს) კოლოაო, აი შტერიო!  
წვენიკა — ხედავ, გვერდიც არ იცვალა.  
ხორკლია — რა აწუხებს? არაფერი.  
მე და შენ კი... (ხმადაბლა) ქალბატონი  
აქეთ-იქით გვარბენინებს.  
წვენიკა — ამათ ძლიერ უფრთხილდება,  
ამ ტიკივით გაბერილებს.  
ხორკლია — (ბოლოკას) ჰეი, ადე, გეყო ძილი  
უშნო ხვრინვით გულს გვიწუხებ...  
ბოლოკა — (იღვიძებს) ოხ, კიტრებო, რომ იცოდეთ  
რა სიზმარი ვნახე წუხელ...  
(მზესუმზირას გადახედავს)  
მშვენიერი ძილი იცის...

12.178

ქ. სარგაძის ს.ბ. ს.ჭ. სსრ  
სახელმწიფო რ. ს.ბ. ბიბლიოთეკა



წვენიკა — (ხმამალა) ვერსად ნახავ ასეთ მნათობს.

(მზესუმზირა შეირხევა)

ხორკლია — დედასავით მიყვარს...

ბოლოკა — (თავისთვის) მაგრამ...

დედასავით რომ ვერ გვათბობს?!

მზესუმზირა — (უეცრად წამოიყვირებს)

რაო, რა თქვი?!

ბოლოკა — არაფერი... დედასავით

გვათბობ, გვალბენ...

ხორკლია — სათუთი ხარ...

წვენიკა — თვალწარმტაცი...

ბოლოკა — მზეს მივიგავს პირი-სახე.

მზესუმზირა — (გაბრაზდა) როგორ თუ მზეს?!

მე თვით მზე ვარ!

მზესა ჰგავსო, რასა ჩმახავ?

ბოლოკა — ალიკვალი მამაო,

ბრძენთაბრძენი, თვალჩახჩახა!

მზესუმზირა — (დამშვილდა და კიტრებს გადახედა)

იქნებ გცივათ?!

ხორკლია

ლა } — ო, რას ბრძანებთ?!

წვენიკა

ბოლოკა — ვიწვით; ვიწვით, ისე გვცხელა.

(ჩუმად) ისემც თავი გაგიხმება,

ბაქიავ და ცრუბენტელავ!

მზესუმზირა — (დაეკვებით) მგონი რაღაც...

ბოლოკა — (სიტყვას შეაშველებს) ძილში ვნახე:

წყალს წაეღო ჩვენი ბაღა.

მზესუმზირა — (შეშფოთდა) წყალს წაეღო?!

ბოლოკა — (დამშვიდა) თქვენ გადარჩით...

თქვენ იქეცით უცებ ყანჩად,

გაფრინდით და მიგვატოვეთ...

(წაუტირებს) ჩვენ კი წყალში ვიძირებით,

აქეთ-იქით დავწიაქობთ,

როგორც კრუნის წიწილები:

მოგვეშველეთ! მოგვეშველეთ!

ხორკლია — მერე არვინ მოგვეშველა?

ბოლოკა — არა, ძმაო, იმ ცივ წყალში

და წუმბეში ჩავლბით ყველა.

ხორკლია — ეს ამბავი დედოფალო,

მე შენიშნა ძლიერ ცუდად.

მზესუმზირა — პილპილივით დაისჯები,

ეგ სიზმარი თუ ასრულდა!

წვენიკა — აქ მასხარად რად დაგნიშნეს?

რომ გვაცინო... რომ გაგვართო...

ხორკლია — შენ კი ეკვით სულს უწამლავ

ჩვენს დედოფალს, ჩვენს დიდ მნათობს!

ხორკლია — გახსოვს, იმ ბრძენს რა გეგვარებოდა?

წვენიკა — მივეუზღავით საკადროსი!

ბოლოკა — ასეთი რა დააშავა?

ხორკლია — ქარს უხმობდა დღისით, მზისით!

მზესუმზირა — (გაბრაზებული) კარგით, პილპილს ნუ

მიხსენებთ. ერთხელ უკვე ავიკრძალეთ!

(ბოლოკას) ახლა რამე სასაცილო

მოგვიყვივი... მე გიბრძანებ!

ბოლოკა — (ვიდრე თბრობას დაიწყებდეს, სიცილით

იქაბება)

ულრან ტყეში ამასწინათ

ერთმა ჩიტმა პაწაწინამ

ტოტზე ციკქნა ფრთა შემოჰკრა,

ნელი სიო გააჩინა.

სიო უცებ ანიავდა,

ბაღია-ბაღია, შარა-შარა

იფარფატა, იშრიალა,

გადაიქცა ნიავ-ქარად.

ქარმა სივრცე მთლად დაფარა,

იზუზუნა მთა და ბარად,

ცაში კუდი მოიქცინა,

გადაიქცა ქარბობრბალად.

აგრიალდა ქარბობრბალა,

ოთხივ მხარეს გაიშალა.

ქალაქებს და სოფლებს ანგრევს

საშინელი ქარიშხალა.

ულრან ტყეში აღარ დარჩა

აღარც ერთი ხე შრიალა,

იმ ღრიალა ქარიშხალმა

სულ დათხარა ფესვიანად...

და თუ ახლა იკითხავენ

ვინ არისო დამნაშავე?

ჩიტია-თქო, ასე ვიტყვი.

ხორკლია — ჩიტიაო, რატომ ჩიტია?!

წვენიკა — ჩიტს ფრთა რომ არ დაექნია,

რა უნდოდა ტყეში ნიავს?!

ნიავ-ქარი გაიზარდა,


მერე ქარიშხალად იქცა...

მზესუმზირა — (შეშინებული)

ბაღიაში რომ ქარი გაჩნდეს,

ვერაფერი ვერ დამიციავს!

ხორკლია — პამიღორა აქ არა გვეყავს?!



**წვენიბა** — კარტოფილთა მთელი ჯარი...  
**მზისუშვირი** — (ხმადაბლა)  
 ამ ჩემს გვირგვინს ემტერება  
 სულ პაწია ნიავ-ქარიც...  
**ხორკლი** — ჩვენი შიშით, დედოფალო,  
 ვერ ჩავივლის მტერი ახლოს...  
**მზისუშვირი** — ბაღის კარს ხომ დარაჯობენ,  
 ქარმა რომ არ შემოაღოს?  
**წვენიბა** — როგორ არა, დარაჯობენ,  
 დღე და ღამე კართან სხედან,  
**ბოლოკა** — რა მაგარი თავდაცვა გვყავს,  
 აქედანაც კარგად ვხედავ!  
**ხორკლი** — მაღლობა ღმერთს, ჩვენს ბაღში  
 ნელი სიოც კი არ იძვრის!  
**ბოლოკა** — (ძალით იღებს გეშს)  
 იძვრის, ძმაო, როგორ არა!  
 მაშ რატომ დგას სუნი ქინძის?  
**მზისუშვირი** — (უეცრად გაციცხლდება, ბოლოკას  
 ყურში ეცემა)  
 როგორც ვხედავ, ამ ბოლოკამ



შიშით უნდა მომინელოს!  
**ხორკლი** — (მეორე ყურს აქაჩავს)  
 როდის უნდა გამოსწორდე,  
 შე მასხარავ!  
**წვენიბა** — (ისიც ყურში ეცემა)  
 შე სულელო!  
**ბოლოკა** — (ვითომდა არაფერიაო, ხტის და მღერის)  
 კამა, ქინძი, ნიახური,  
 დამიგრძელდა ორივე ყური!  
 ეხ, ადვილი არ გეგონოთ  
 დიდკაცებთან საშასხური.  
 (თავდაუყრა გადაღის)  
**მზისუშვირი** — კარგით ახლა, ჭამის დროა,  
 მზარეული იხმეთ სწრაფად!  
 (შემოვარდება ბეყია)  
**ბაქია** — ჩვენს მზეთამზეს რა მოვართვათ?  
**მზისუშვირი** — გოგლიმოგლი და ხილფაფა!  
 (კიტრებს) რომელ ნამცხვარს მოისურვებთ?  
**ხორკლი** — ნაზუქი სჯობს დღეს და ხვალაც.  
**მზისუშვირი** — თევზეული?  
**ხორკლი** — დოში...  
**წვენიბა** — ზუთხი.  
**მზისუშვირი** — კიდეც... შავი ხიზილალა.  
 (ბოლოკას) შენ, ბოლოკავ, შენ რაღა გსურს?  
**ბოლოკა** — ლობიოთი მოვილხენდი.  
**ხორკლი** — საუზმეზეც ლობიოს ჭამს,  
 ამ გლეხუქას დახეთ ერთი! (ხითხითებს)  
**ბოლოკა** — (ღიღინებს)  
 ბოლოკა და ლობიოსა  
 შეგვიყვარდა ერთმანეთი.  
 საცა სუფრა გაიშლება,  
 უნდა მოვხვდეთ გვერდი-გვერდით.  
 ჰერი! ჰერი! ფერი ფერსა!  
 ჰერი! ჰერი! მაღლი ღმერთსა!  
**მზისუშვირი** — (ბეყიას) აბა, გასწი, რაღას დგახარ!  
**ბაქია** — დედოფალო... ვერ დავმალავ...  
 ხორკლიამ თქვა, ნაზუქიო,  
 ნაზუქსა მთხოვთ დღეს და ხვალაც...  
 დღეს მოვართმევთ, ხვალ კი ნაზუქს,  
 რა ვქნა, ველარ გამოვაცხოვბოთ...

**ხორკლი** } (ერთხმად)  
**წვენიბა** } — რატომ!  
**მზისუშვირი** }

**ბაქია** — კვერცხი გაგვითავდა,  
 რაც არა მაქვს, იმას რად მთხოვთ?!  
**მზისუშვირი** — რაო, კვერცხი გაგითავდათ?  
**ბაქია** — გაბრაზებას ნუ იწებებთ.  
 ერთი რამე მინდა გითხრათ:  
 კვერცხს გოფრები კი არ ღებენ.  
 ამ წვიმამ და უმზეობამ,  
 ვერა ხედავთ, მოგვინელა.  
 უცნაური სენი გაჩნდა  
 და ქათამიც გაწყდა ყველა.  
 ეს კიტრებიც გამოიგებენ,  
 კვერცხს გოფრები კი არ ღებენ...  
**მზისუშვირი** — (განჩხლებული) მომავორეთ!  
**წვენიბა** — რას ლაქლაქებს?!  
**მზისუშვირი** — ამოჰკარით წიხლი დღესვე!  
 გააძვევთ სასახლიდან,  
 მიწის მუშად გაამწესეთ!  
**ბაქია** — ასეთი რა დავაშავე?  
 მზეთამზეო, რისთვის მაგლებ?



ბოლოკა — (ბეჟიას) ველარ მიხვდი?  
 ბეჟია — ვერა, ბოლოკა!  
 ბოლოკა — ქათამივით კვერცხს რომ არ დებ...  
 (სიცილით იჭაჭება).  
 (ხორკლია და წვნიკა ბეჟიას ჭიტლაყს ამოჰკრავენ და გააგდებენ)  
 მზისუშვირ — ვეზირებო, სუფრის გაშლა წადით, ჭარხალს დაავალეთ!  
 (ბოლოკას) მანამდე კი გული მიწუხს და გამართე, აბა, მალე!  
 ბოლოკა — (წამოხტება და თავყირას გადადის) ყველაფერი აირია, ჰოპ! ჰოპ! ჰოპ! ორშაბათი, შაბათი — კვირა, ვახ! ვახ! ვახ! თავლა, სახლი, ბაღა-ბაღი, ხო! ხო! ხო! მეჩვენება თავდაყირა, ხა! ხა! ხა! ნაკადული აღმა მიდის, ხე! ხე! ხე! ასალეზენ ლაჩარს გმირად, ვახ! ვახ! ვახ! საიდუმლო ყველამ მალა, ოხ! ოხ! ოხ! მალა, მაგრამ ვინ დამალა, ახ! ახ! ახ! ვინც დღეს წალმა მეჩვენება, ხი! ხი! ხი! ხვალ დადგება ყირამალა ხა! ხა! ხა! უფროდ მზესუშვირა ცხვირს დააცემინებს. იგრვლივ ყველა შეერთება, გაიყინება.  
 მზისუშვირ — (შეშფოთებული) სადღაც დან სიო მოჰქრის... მომეშველეთ, ჩქარა, ჩქარა!  
 ხორკლი — დედოფალო, ნუ შეშინდით...  
 წვნიკა — აქ არა ვართ, დაგიფარავთ!  
 (მზესუშვირას ყველანი ირგვლივ შემოეხვევიან)  
 ხორკლი — (ცხვირს აცემინებს) აი, უკვე მეც ვიგრძენი...  
 ზარხალ — (ისიც აცემინებს ცხვირს) ოჰ, კინალამ წამძკრა ცხვირი!  
 ბოლოკა — (სამჯერ აცემინებს) ოი, ძლივს არ მოვისვენე. კედელს ჩხირი, კედელს ჩხირი! შორიდან მოისმის ნიავის სისინი, რომელიც თანდათან ძლიერდება და ქარის ქროლვად იქცევა. ბაღჩაში უკვე ყველა გრძნობს მოახლოვებულ ქარიშხალს...  
 მზისუშვირ — (კანკალებს) ჯარის სარდალს უხმეთ, ჩქარა!  
 ხორკლი — პამიდორა! აქეთ, მალე!  
 წვნიკა — პამიდორა!  
 ზარხალ — პამიდორა!  
 ბოლოკა — პამიდორა, დაგვეხმარეთ! ჰეი, სად ხარ გმირთავმირო?! (აქეთ-იქეთ დარბის) მოეშველე ამ ყმაწვილებს... თორემ მე ქარს სულ არ ვუფრთხი... ნეტა ხომ არ დამწყნილეს?! ქარი უფრო და უფრო ძლიერდება. ბაღჩის მაცხოვრებლები ფეხზე ძლივს დადგანან. ერთმანეთს ეხლებიან. სცენაზე შემოვარდება ქარ-ბორბალა.  
 ჰარბორბალა — ჩემი ყველას ეშინია, დავგრიალე მთა და ბარად. ავდრის ღრუბლებს ვერეკები, მე ვარ ქარი ქარბორბალა! უსულგულო ქონდრისკაცებს მსურს ვუჩვენო ჩემი ძალა, აბა, წინ ვინ დამიდგება, მე ვარ ქარი, ქარბორბალა!  
 მზისუშვირ — (შეშინებული) ქარს გვირგვინი სურს წამართვას!  
 ხორკლი — არ დავეთმობთ, არა! არა!

ბოლოკა — ეს ის ნიავ-ქარი გახლავთ, რომ გადიქცა ქარბორბალად...  
 წვნიკა — (ხორკლიას) მზესუშვირა არ წაიქცეს, მოვახვიოთ ბარდი ჩვენნი!  
 ჰარბორბალა — დადგა თქვენი აღსასრული, ბარდ-ფოთოლი რას გიშველით!  
 მზისუშვირ — ვიღუპებით! გვირგვინს მართმევს!  
 ჰარბორბალა — გაეფანტავ და მოეფენ მთა-ველს! (გვირგვინს აცლის)  
 მზისუშვირ — ვაი!  
 ბოლოკა — ჩიტი! ჩიტი! ჩიტი! ჩიტი არის დამნაშავე!  
 ჰარბორბალა — (თავიდან მარცვლებს ააგლეჯს) აჰა, ესეც ამ მბრძანებლის შავ ფიქრებს რომ ადასტურებს! (სათითაოდ ჩამოურიგებს სუყველას)  
 ბოლოკა — მარცვალიც კი არ დატოვოთ, სულ გააქრეთ, აცნატუნეთ. გვირგვინს წაიღებს და გადის. შემორბის პამიდორა, უკან კარტოფილა და სტაფილუკა მოჰყვება.  
 პამიდორა — რას გვიბრძანებ, დედოფალო!  
 მზისუშვირ — კარგი დროა, შე ლაჩარო!  
 ხორკლი — შე მშვიშარავ!  
 წვნიკა — შე დედალო!  
 ზარხალ — შე მძინარავ!  
 ბოლოკა — ჩეარო! ჩეარო!  
 პამიდორა — (ტირილით) მხოლოდ დილით ჩამეძინა, მთელი ღამე, როგორც ჭოტი, გეფიცებით, მზეთამზეო, ბაღჩის კარებს ვდარაჯობდი!  
 მზისუშვირ — პამიდორა!  
 პამიდორა — რაო, მზეო?!  
 მზისუშვირ — ჩქარა, იხმე მთელი ჯარი, ქარბორბალას დაედევნე და ახლავე შეიპყარი!  
 პამიდორა — (ამასობაში ბოლოკამ პამიდორას მუტაში მზესუშვირის მარცვლები ჩაუყარა) მზესუშვირას მოვათავებ, მერე ვნახოთ...  
 მზისუშვირ — (უკანასკნელ ღონეს იკრებს) ხორკლი! წვნიკავ!  
 ხორკლი — აი, ამას მოვათავებთ... (მზესუშვირას აცნატუნებს)  
 წვნიკა — რისთვის ჰკვივი? თავს რად იკლავ?  
 მზისუშვირ — შეიპყარით! ეს ბოლოკაც!  
 მეც და... ყველა! (გაოგნებული ეცემა ძირს)  
 ბოლოკა — დადგა შენი აღსასრული ბაქია და ცრუპენტელავ!  
 ბოლოკა — დააკვირდით, ჩვენს დედოფალს!  
 ხორკლი — რა მოსვლია!  
 წვნიკა — ვუი, რას ჰგავს!  
 ბოლოკა — წელში როგორ გალუნულა!  
 ზარხალ — თავს გვირგვინიც აღარ ადგას.  
 ბოლოკა — (ღიღინით) საიდუმლო ბევრმა მალა, მალა, მაგრამ ვინ დამალა?! ის, ვინც გუშინ წალმა იდგა, დღეს დამდგარა ყირამალა.  
 მზისუშვირ — (ძლივს და კნავის) როგორ ბედავ... პამიდორა, შეიპყარით, ჩქარა, სწრაფად!...

გოლოკა — ნეტავ რაღას იქაჩები,  
ვერა ხედავ, სულსა ლაფავ!  
შორიდან მოისმის მხიარული ხმები:  
— შეხეთ! შეხეთ!  
— ცა გაიხსნა!  
— ერეკება ქარი ღრუბლებს!  
— მზე ამოდის!  
— ნამდვილი მზე!  
— სალამი მზეს!

მზისუმზირა — (ლულულულებს) დავილუბე...  
სცენა ივსება პიესის მოქმედი პირებით. ყველას  
გაბრწყინებული სახე აქვს.  
წვიტა — ი! ცრუმზისას შეხე, კიკნავ,  
რამხელაა!

პიკანა — მუშტისხელა...  
პიოპიოპა — დრომ მიუზლა საკადრისი,  
ვერაფერმა ვერ უშველა...  
— მგონი კვდება...  
— თავს გვასაწყლებს...  
— აღარ არის, არა, სანდო!  
— გავაძვევთ ამ ბალჩიდან!  
— ხევში, ხევში გადავავლოთ!

ყველანი ჭოხებიითა და სარებით აძევებენ მზესუმზირას.  
შემოცვივდებიან მზის სხივები, ცეკვავენ და მღერაინ:

ციმციმელა მზის სხივები  
მზის ამოსვლას გახარებთ...  
გეყვით დარდი და წუხილი,  
ხა, ხა, ხა, იხარხარეთ.  
ჭიტა! ჭიტა! მზე ღრუბლიდან,  
იჭყიტება, გიცინით.  
ეს ამბავიც დავასრულეთ  
მზის სხივების ციმციმით...

გოლოკა — (დასახურავად გამზადებული ფარდის წინ  
გამოდის)

კვლავ დაეწყო ყველაფერი,  
ისევ მოსდევს შაბათს—კვირა.  
ახლა წალმა მეჩვენება,  
რაც მოჩანდა თავდაყირა.  
ნაკადული დაღმა მიდის,  
გმირსა თვლიან ისევ გმირად.  
ცხრათვალა მზე ამობრწყინდა,  
ნანატრი დღე დადგა უკვე.  
აბა, დოღლებს დასცხვით მაგრად  
და ჩაპბერეთ თქროს ბუბუებს!

ფ ა რ დ ა



ედმუნდ  
ნიჰიურსკი

როგორ დავიხსენით  
თავი  
ალკიგიადესაგან



გამოჩენილი პოლონელი მწერლის, ედმუნდ ნიჰიურსკის სახელს ქართველი ბავშვები პირველად 1964 წელს გაეცნენ. „პიონერი“ მთელი წლის მანძილზე ბეჭდავდა ამ დიდად პოპულარული მწერლის სათავგადასავლო მოთხრობას: „მარტე პეგუსის თავგადასავალი“. შემდგომ ეს მოთხრობა „ნაკადული“ დიდი ტირაჟით ცალკე წიგნად გამოცა.

ახლა ქართველ მკითხველს საშუალება ეძლევა გაიცნოს ედმუნდ ნიჰიურსკის ახალი გმირები. ესენი არიან ვარშავის ერთ-ერთი სკოლის მერვეკლასელები და მათი ისტორიის მასწავლებელი „ალკიბიადე“ წოდებული პან მისიაკი. ეს ბავშვები დიდად როდი გამოიჩინებოდნენ სიმბეჭით და მუუაითობით. მათი ერთადერთი მიზანი და საზრუნავია, როგორმე მიაგნონ ისეთ საშუალებას, რომელიც წერა-კითხვისა და მეცადინეობის გარეშე, უშრომელად და თითის გაუნძრევლად გადაიყვანდა მათ კლასიდან კლასში.

მაგრამ ესოდენი ჭაფითი შექმნილმა „საშუალებამ“ ემართა ვიღების ცხოვრებაში სრულიად მოულოდნელი, საწინააღმდეგო როლი ითამაშა. ბავშვებმა, მათდა უნებლიედ, ალკიბიადეც შეიყვარეს და ისტორიის — ამ მეტად საინტერესო და მიმზიდველი საგნის ნამდვილი თავყვანისმცემლებიც გახდნენ.

ელგუჯა  
მერაბიშვილი

ჭოროვლიანი მთვარე

ალბათ გსმენიათ ქართული  
ანდაზა — „ყვავისა გუგულის



გამზრდელსა, გუგული მოჰყვეთ თავსაო“. სწორედ ასეთი მუქთახორა და უმადური გახლდათ, ბებერი გუგული — გუჯა. ყოველ გაზაფხულზე თავის მეგობარ გაქარასთან ერთად შორეული ქვეყნებიდან მოეშურებოდა „მშობლიური ადგილებისაკენ. შოი, რა დონიერი და ბედნიერი იყო მამინ გუჯა, რა მოხერხებული და ყოველისშემძლე. რამდენი გულუვითელა და ღაჭო გაუტარებია, რამდენისთვის შეუპარებია თავისი კვერცხი, მერე იმ კვერცხიდან გამოჩეკილ ბარტყებს კი ძირიანად ამოუგდიათ გულუბრყვილო დედობილეების მთელი მოდგმა.

რა მოხდა მერე გუჯას ცხოვრებაში? სადამდე მიიყვანა იგი ამგვარმა თავაშვებულობამ? ყოველივე ამას გაიგებთ, თუ წაიკითხავთ ეგლეუჭა მერაბიშვილის საბავშვო მოთხრობების კრებულს — „ჭოროვლიანი მთვარე“. ამავე წიგნში გაეცნობით ახალგაზრდა მწერლის მოთხრობას — „ლანდი ზერთვისის თავზე“, რომელიც პირველ კომკავშირელთა ხსოვნას ეძღვნება. წიგნში არის აგრეთვე სხვა საინტერესო მოთხრობები.



# საქმთა შინის სუსანიანი

გამოჩენილ საბჭოთა მწერალს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატს ვიჩხლავ შიხოვიანს დაბადების 100 წელი უმარაგდება. მის კალამს ეკუთვნის ისტორიული რომანი „მეალიან პუპაიოვი“. რომანი „უბრუმ-მდინარე“ და მრავალი მოთხრობა.

„უბრუმ-მდინარე“ ქართულად თარგმან თინათინ ჯაბახიშვილმა. მოთხრობაში — „საბჭოთა მიწის სუსანიანი“, აღწერილია დიდი საბრძოლო ომის დროინდელი სიმბოლური ბრძანება თავდასაცავილი

## ვიჩხლავ შიხოვი

მხატვარი ჯამალ ლოლუა

ყოველი საბჭოთა ადამიანისათვის ძვირფასია ივანე სუსანიანის სახელი. თავისი ხალხის შურისმაძიებლის სახედღესაც ცოცხალი და დაუეწყარია. დიდმა სამამულო ომმა ბევრი საბჭოთა სუსანიანი დაბადა. სამშობლოს ბედნიერებისათვის მებრძოლთა გმირული სახელი მარად იბრწყინებს ისტორიის ფურცლებზე.

## მ ვ ი ლ ი მ ვ ი ლ ი

პეტია მშვიდად და შინარსიანად ლაპარაკობდა. ქერათმიან ბიჭუნას მკვირცხლი თვალები ჭკონდა. იგი სულ თერთმეტი წლისა იყო. მაგრამ ამ ცოტა

ხანში ბევრი გადაიტანა და ამის გამო თავს მოზრდილად გრძნობდა. ამ ზამთარს დაობლდა და ახლა მთელი სოფლის კმაყოფაზე იმყოფებოდა. ყველა ოჯახში რიგითი წესით თითო კვირა ცხოვრობდა, ახლა კი პეტია პარტიზანებთან წასვლას აპირებდა.

— მისმინე, — მიმართა პეტკამ კაცს, რომელსაც უბის წიგნაკი ეკავა. პეტკას თვალები რაღაც უცნაურად უბრწყინავდა. — ბევრისთვის მიაშენია ეს ამბავი, შენ პირველი და უკანასკნელი არა ხარ. რახან გაინტერესებს, ჩაიწერე.

ასეთი ამბავი მოხდა. ამ მაგიდის გარშემო ვისხედით, ჩაის ვსვამდით. მაწონსა და ხაჭოს პურს ვატანდით. ზამთარი იდგა. როგორც კი ინათებდა, ბებია ღუმელს ანთებდა. პაპამ ჩაის მეცხრე ჭიქა

გამოსცალა. კვარი გვენთო. ნავთი არ გვექონდა. გვექონდა, უმეტესად უბრძანა თვალთ აკლდა და დამეგრებოდა. პაპას სამოვრიდან მეთე ჭიქის დასხმა უნდოდა, რომ ჭიქში შემოცვივდნენ გერმანელი ოფიცრები და ხუთი ჯარისკაცი. ოფიცრმა გადაიწია ყაბალახი, პაპასკენ გაემართა. რუსულად უთხრა. თუმცა, აბა ეს რა რუსული იყო. მაგრამ ათი სიტყვიდან ხუთს მაინც გაარჩევდი. ოფიცერი თან გერმანულ გეოგრაფიულ რუკას დასცქეროდა. „იცი, იცი, — თქვა ოფიცერმა, — მე ყველაფერი ვიცი — შენ ოთხმოცი წლისა ხარ, ბებერი. შენ კარგად იცი თქვენი ტყვე. შენ წაგვიყვანე მდინარე ჩერემხასთან, იქ, სადაც წითელი სალდათია გამაგრებული. გესმის, ბებერო ძაღლო? აუ სადილობამდის მიგვიყვან, იცოცხლებ, თუ არა და ძაღლივით მოგკლავ.“ — ამოიღო დიდი პისტოლეტი და პაპას ცხვირში დაუმისხა...

თავდაპირველად შემეშინდა. ბებიას ქვაბის გამოსაღები მაშა ხელიდან გაუვარდა, ამოიხრა და სკამზე დაეცა. პაპა თუმცა გაფითრდა, მაგრამ არაფერიც — ყოჩაღი მოხუცი იყო. პაპამ ხატებზე პირჯვარი გადაისახა, მე გადმომხედა და გერმანელს მიახალა: „ურჯულოვ, ნუ მაშინებ სიკვდილით. კარგი, წაგიყვანთ“.

ოფიცერმა „გუტ, გუტ“ უთხრა.

პაპა მოეშადა, ტანსაცმლის ჩაცმა დაიწყო და თავი დამიქნია, მოდი ჩემთანო.

მივედი. პაპამ ჩამჩურჩულა: „პეტია, პირდაპირ მეთაურ გორბუნოვთან გაიქეცი, შეატყობინე, გერმანელებს მღვევი ხევთან მივიყვან და იქ შევხვდები“.

ოფიცერმა შენიშნა, რომ პაპა მეჩურჩულებოდა, იღრიალა:

„გაჩუმდი, მოგკლამ!“ თან რევოლვერი დაატრიალა.

ქუდს ხელი ვტაცე, უბეში პურის ნატები ჩავიდე და მოვუსვი.

ჯერ ისევ ბნელოდა. ცაზე ცისკარი აირეკლა. ეტყობოდა, ერთ საათში მზეც ამოვიდოდა. ტყეში შევიჭერი. მერე დარა ტყე გვაქვს — თავი და ბოლო არ უჩანს. მხეცების ბილიკები ყველა კარგად ვიცი. როცა პატარა ვიყავი, იქ მე და პაპა თრითინებსა და მელიას მახეს ვუგებდით. სამხედრო უფროსი გორბუნოვი ჩვენი ნაცნობი იყო. მესობელ სოფლიდან არის. ამას წინათ სკოლაში პოზიტიდან საჩქერები მოგვიტანა: ფანქრები, ქალაღი. პირდაპირ რომ ვიარო, ამხანაგ გორბუნოვამდე ოცდახუთი კილომეტრია. ჩემთვის ეს არაფერია. თუმცა ვფიქრობდი: ნეტავ იმ მგლების ხროვა არ შემეჩხოს-მეთქი. თხილამურებიც თან მქონდა. ველებზე და ჭალებში თხილამურებით მივიდი. ხშირ ტყეში კი ფეხით.



მივდივარ და მწარე ფიქრები არ მასვენებენ. „საბრალო პაპა, რა ბედი გეწავია სიბერეში: ამხანაგ გობრუნოვის რაზმს უნდა უღალატო. ეს კი ვიცი, რომ, პაპა მატვეი, შენ, მოლაღატე არასდროს იქნები. მტრებს უღრან ტყეში დასალუპავად შეიყვან. პაპა, პაპა! მაშინ ხომ გერმანელები მოგკლავენ. შენ ხომ მოხუცი ხარ და ვერ გაუქცევია გერმანელებს! როგორ მენანები. დამაცადე, პაპა მატვეი, არ იღარდო, მე და ამხანაგი გობრუნოვი გავანადგურებთ გერმანელებს და გადავარჩენთ!“

ცოტა თითქოს შემისუსტებდა სიარული, თავზე, ლოყებზე ოფლი წურწურით ჩამომდიოდა, მთლად სველი ვიყავი. მოდი ახლა გამხმარ ტოტებზე ჩამოვჯდები-მეთქი. ის იყო ჩამოვჯექი. რომ თითქოს თავში რაღაცამ დამარტყა: მომაგონდა პაპაჩემი. ის ხომ ივანე სუსანიანს წააგავს. ვითომ მე, მისი შვილი-შვილი პეტკა, ვანია ვარ და ნაბრძანები მაქვს პოსაღში წავიდე, კარებზე ვაბრაზუნო და დავიყვირო: „ჩქარა გაალეთ! მამაჩემი ბოროტმა მტრებმა ტყეში წაიყვანეს. აბა, ჩქარა შეიარაღდით. თორემ მტერი ყველას გავანადგურებთ!“ ეს წარმოდგენა — „ივანე სუსანიანი“ ლენინგრადის თეატრში ვნახე. მაშინ ჩვენი სოფლიდან ექსკურსიაზე წავიყვანეს. არასდროს დამავიწყდება ეს შესანიშნავი წარმოდგენა! ბოლოს ზარი დაჩვენეს და მსახიობებმა ერთად დაიმდურეს. სიხარულისაგან წამოვხტი. სუსანიანს რომ კლავდნენ, ტირილი დავიწყე. ყოჩაღ, სუსანიანი! სამშობლოსათვის არ შეუშინდა სიკვდილს. „სიკვდილისა არ მეშინიაო, — თქვა მან, — სამშობლოსათვის თავს გავწირავო“. აი როგორი იყო სუსანიანი. პაპაჩემიც მასზე ნაკლებ არ მოიქცევა. იგი კუხშინია — მატვეი მატვეიჩი. პაპაჩემს კარგად ვიცნობ.

როგორც წესია, თოფიანმა გუშაგმა დამიყვირა: „გაჩერდი!“ მე კი გამომწვევად ვუთხარი: „საჩქარო საქმეზე თვით მეთაური გობრუნოვი მჭირდება-მეთქი. მალე გობრუნოვის მიწურში აღმოვჩნდი. „საიდან ყმაწვილო? რა საქმეზე?“ ყველაფერი ვუთხარი. გადამეხვია, გადამეკოცნა. ჯარისკაცებს უბრძანა საჩქაროდ მომზადებულიყვნენ და ტყვიამფრქვევებიც წამოეღოთ. „ამ ბიჭუნას ცხელი შრი აჭამეთ, ლორის კარგი ნაჭერიც ჩამოუჭერთ, თორემ დაღლილი და მშვიერი“. მე ვუთხარი: „ამხანაგო გობრუნოვ! მედვეთი ხევი იცით? იქით წაიყვანეთ ჯარისკაცები“.

ყველა მებრძოლი გაიკრიფა: ჩქარა შევჭამე შრი, ლორი და ორცხობილა უბეში ჩავილაგე და რაზმის დასაწევად გა-

ვიქცე! დავეწვი გავიდა ორი საათი. ამხანაგი გობრუნოვი მომიხსლოვდა და მითხრა: „მალე შეევხდებით ერთმანეთს. ჩემმა მწვერავებმა უკვე მიაგნეს გერმანელებს. ხეზე აძვერი, უფრო კარგი იქნება სადმე შეძვრე. ციყვსავით მაღალ ფიჭვზე ავცოცდი.“

ერთი საათი გავიდა, მომბეზრდა ხეზე ჯდომა, თანაც პაპას დარდიც მქონდა. დავუსტდი და ძილი მომერია. მზე გადაიხარა. მე კი ისევ ხეზე ვიჯექი. ჯარისკაცებმა დამალეს ტყვიამფრქვევები. გემრიელი კარგი თეთრი ლორი იყო. მოვაკბიჩე თუ არა და დეჭვა დავიწყე, მომესმა ჩვენი ტყვიამფრქვევების კაკანი. მივიხედ-მოვიხედე. დმერთო ჩემო, აი ისინიც, გერმანელები!

ვხედავ: პაპაჩემი თოვლის ნამქერებში ტრიალებს. ჩემო კარგო! მხედავ მე?

კვლავ გავიფიქრე: „პაპაჩემი მართლაც რომ სუსანიანია, როგორც წარმოდ-

გენაში. თეატრში ყველაფერი ტყუილად მუსიკა უკრავს და პოლონელები მღერის. „სად მოგვიყვანე, მოხუცო?“ ეტყობა, ქალაღია დაჭრილი თოვლის მაგიერ. იქ არ შეგეშინდება. აქ კი თოვლი წელამდის გწვდება, ნამდვილი ყინვა, უღრანი ტყე, მუსიკის მაგიერ ყოველმხრივ სროლა ისმის, ცოცხალი ადამიანები იხოცებიან, თოვლი სისხლით იღებება. ერთი სიტყვით, საშინელებაა.

გერმანელები თანდათან ემატებიან. უკვე ხუთასამდე კაცია. ვფიქრობ: „ახლა ჩვენს რაზმს გაანადგურებენ“, მაგრამ ჩვენებმა რომ დაუშინეს ტყვიამფრქვევი, გერმანელებმა კურდღლებივით დაიწყეს ტრიალი ველზე, დახოცილები თოვლზე დაცვიდნენ. ჩვენები ყოველი მხრიდან ესროდნენ. გერმანელებმა თავიანთი ტყვიამფრქვევებიც გამართეს. დავინახე. ორი ტყვიამფრქვევი უშველებელ კუნძებს მოაფარეს. რაც ძალა და ღონე მქონდა, დავიყვირე: „ჯარისკაცებო! ტყვიამფრქვევები კუნძების უკან დგანან“. ვნანობ, რომ მე სულელმა თოფი





# პემოცკობა

## ნალი დასაპელიძე

გასუქებული კომში  
ხეზე თავს ძლივსდა იჭერს;  
სიცილით ბროწეული,  
უკვი ვერ მალავს კიჭებს.  
ბედელი სიმიდს უხმობს,  
ქვევრი სანახელს უმზერს,  
დამჩატებულა ვაზი  
და გზას ულოცავს უურძენს.  
სხვეწზე დაკატრულ კაკალს  
არც თხილი რჩება ვალში.  
ძირს ჩამოხტომას ლამობს  
ლოყაწითელი ვაშლი.  
გოგრას ღიმილი მოსდის,  
ფოთლები მოჰყვენენ ფარფატს.  
კალათი გოდორს ავსებს,  
გოდორი გარბის სწრაფად.

არ წამოვიღე. გარბიან გერმანელები,  
ტყვიამფრქვევი კაკანებს... თოვლს ნაც-  
რისფერი დაედო. ბევრი გაულიტეს.

პაპა მატყვი კი თვალს მომეფარა. კენ-  
წეროზე ავცოცდი და ძალა გამომელია.  
„ძმებო! ამხანაგო გორბუნოვ!“ — ყვე-  
რი ეგება ასე შეჩვენებოდა. ხმა ჩამეხ-  
რინწა. თვალთ დამიბნელდა. სადაც არის  
ხიდან ჩამოვფარდები! დავინახე, ჩვენი  
მამაცი ჯარისკაცები როგორ გაიქცნენ  
პაპას გადასარჩენად შაშხანებგამზადე-  
ბული და „ვაშას“ ძახილით. არ მახსოვს,  
ხიდან ჩამოვფარდი თუ რაღაც უცნაურმა  
ძალამ ჩამომიყვანა.

გავრბივარ პაპისკენ და დავინახე, რომ  
დამაგვიანდა: მუცელგაბერილმა ოფი-  
ცერმა მოკლა პაპა. თოვლზე იწვა და  
ხელს ოდნავ ამოძრავებდა, თოვლს ფხოჭ-  
ნიდა. ზიფუნის სისხლით იყო მოსერი-  
ლი. პაპის გვერდით თავგახეთქილი გერ-  
მანელი ოფიცერი ეგდო. ჩვენმა ჯარის-  
კაცებმა ცოფიანი ძაღლივით მოუღეს  
ბოლო! სამმა ჯარისკაცმა პაპას ზიფუნის

გახადა, ჭრილობის შესასვევად მოემზად-  
ნენ. მოხუცმა თვალები დახუჭა, კენე-  
სოდა, სახე თოვლივით თეთრი ჰქონდა:  
დავიღრიალე: „პაპა! საყვარელო!“ მუს-  
ლებზე დავეცი, დავეკოცე შუბლი, ლო-  
ყები, წვერი. პაპამ გაანძრია ტუჩები:  
„მეტია, შვილო ჩემო... დავამთავრე მი-  
წაზე სიარული, აი, სად მიმიღო სიკე-  
დილმა. ვკვდები... ვკვდები... მტრის ბო-  
როტი სულები დავლუქე და მეც დავი-  
ლუქე. მადლობა დმერთს, ჩვენი ხალხი  
გადავარჩინე... აღარაფერი მიჭირს...  
მშობ... მშობლიური მიწისთვის ვკვდები...“

პაპამ ამოიხრიალა და თვალები გა-  
დაკარგლა. კიდევ ამოიხრა და სამუდა-  
მოდ დადუმდა.

აი, როგორი იყო პაპაჩემი მატყვი  
კუხმინი. სამარადისოდ იყოს მისი სა-  
ხელი!

დავთვალეთ გერმანელები. ორას ორ-  
მოცდაათ კაცზე მეტი იყო. დანარჩენები,  
ალბათ, გაუვალ გზაზე გაიყინენ ტარა-  
კანებივით. დიდი ყინვა იდგა.

ამხანაგმა გორბუნოვმა პაპა საბარგო  
მანქანაზე გადასვენებინა და სოფლის-  
კენ წაღება ბრძანა. მანქანას გარს შე-  
მოერტყუნენ მებრძოლები. გორბუნოვმა  
სიტყვა წარმოთქვა. რას ლაპარაკობდა,  
არ მესმოდა. პაპაჩემზე ვფიქრობდი.  
მხოლოდ უკანასკნელი სიტყვები დამა-  
მახსოვრდა: „მებრძოლებო, ამ პატიოსა-  
ნი მოხუცისაგან აიღეთ მაგალითი. მთე-  
ლი სიცოცხლე შრომაში გაატარა, პური  
მოჰყავდა, ხალხს კვებავდა. ახლა კი  
მოკვდა... ასეთი იყოს ყველა... გმირუ-  
ლად მოკვდა: თავისი ჭაღარა თავი სამ-  
შობლოს დიდებისათვის დასდო და ჩვენ  
გადაგვარჩინა“.

პაპა ცოცხალივით იწვა, უსმენდა,  
მაგრამ პასუხს ვერ იძლეოდა.

შევხედე ამხანაგ გორბუნოვის სახეს.  
დავინახე, როგორ მოიკვნიტა ტუჩები,  
თავი გაიქნია: „მოხუცო, მშვიდი იყოს  
შენი სამუდამო ძილი. სამარადისო დი-  
დება შენ!“

თარგმანა თინათინ ჯავახიშვილმა.

ცნობილია, რომ კვამლს (ოგალისას,  
მონუმენტს) რაიმე ღირსშესანიშნაო  
მოვლენის ან გამოჩენილი ადამიან-  
ბის პატივსაცემად დგამენ.

მაგრამ ადამიანმა კვამლი დაუდგა  
აბრამთა ბავრ ცხოველს, ფრინველს,  
მწერს, ქვეწარმავალს (ცხადია, ჩვენ  
პაპა გვაქვს მხედველობაში ცხოველ-  
ებისა და ფრინველების სპულტურუ-  
ლი გამოხატულებაანი, რომლებიც  
დიდი რაოდენობით გამოიყენება შე-  
ნობებისა და ქუჩების, ბაღებისა და  
სამშენობის მხატვრული თუ არქიტექ-  
ტურული გაფორმებისას). უფრო გი-  
ტივი, ადამიანმა კვამლი დაუდგა  
ორთქლივარსებულ და ყინულმგვრელ  
გამს, ნავს, მერიდიანის რკალს, სე-  
სოფლო-სამეურნეო კულტურასა და  
ა. შ.

ამ პატარა განყოფილებაში —  
„არაჩვეულებრივი კვამლები“ მოგი-  
მხრობთ, რომორც ჩვენი სამშობლოს  
ტიმრითრიაზე, ასევე უცხოეთში არ-  
სებულ ასეთი სახის ოგალისკვამლს.

**კვამლი**  
**კაქტუსის**  
**კვამლს**

კვინსლენდის შტატში (ავსტრალია)  
ძველი დაუდგეს მავნებელ მწერს — კაქ-  
ტობლასს.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში  
ავსტრალიაში დიდძალი თავისუფალი  
მიწები იყო. დაისვა საკითხი ამ ფართო-  
ბების სამეურნეო გამოყენებისა. სპეცი-  
ალისტების რჩევით, ფერმერებმა არგენ-  
ტინიდან (სამხრეთი ამერიკა) შემოიტა-  
ნეს ოპუნციის ოჯახის კაქტუსის ულა-  
მაზეუი სახეობა. ეს მცენარე სიმშრალის  
მოყვარულია და ფიქრობდნენ, ადვილად  
შეეგუება ავსტრალიის მშრალ კლი-  
მატს.

თავდაპირველად ფერმერები კაქტუ-  
სის ნარგავებს უვლიდნენ და კიდევ უხა-  
როდათ მისი გავრცელება. ახალმა მცე-  
ნარემ მეორე სამშობლო ჰპოვა ავსტრა-  
ლიის მიწაზე და ისე სწრაფად მოიკი-  
და ფეხი, რომ მალე კულტურული მცე-  
ნარეების შევიწროება დაიწყო. იგი თან-  
დათან სპობდა ბალახს, აღარიბებდა სა-  
ძოვრებს. 1925 წელს ავსტრალიაში კაქ-  
ტუსს უკვე 250 ათასი ჰექტარი ეჭირა.  
დაიწყო ნამდვილი ომი კაქტუსის წი-  
ნაღმდეგ. მის ნარგავებს ჩვენდნენ,  
სწვავდნენ, ასხურებდნენ შხამიან ნივთი-  
ერებებს, მაგრამ ამაოდ — კაქტუსი სულ



# არაქვეყნაზროვი ქ ე გ ე ჯ ე ზ ი

## ქველი გავიხს ხსნიარბრქალას

ახალ-ახალ ფართობებს იკავებდა. კაქტუსის მოსპობა ავსტრალიისათვის მთავარ პრობლემად იქცა. ძალზე ძვირი დაუჯდა ავსტრალიის მთავრობას კაქტუსთან ხანგრძლივი და უშედეგო „ომი“.

ბოლოს ფერმერებს მოაგონდათ, რომ არსებობენ კაქტუსის მავნე მწერები. მეცნიერებმა გულდასამითი კვლევა-ძიების შემდეგ არჩევანი კაქტობლასზე შეაჩერეს. სამხრეთ ამერიკიდან სასწრაფოდ ჩამოიტანეს კაქტობლასის სამი მილიარდი მატლის ჭუპრი და გაუშვეს კაქტუსის მიერ დაკავებულ ფართობებზე. ათი წლის განმავლობაში კაქტუსის ნარგავები მთლიანად მოისპო. კვინსლენდისა და ახალი სამხრეთ უელსის შტატებში გადაჩა დიდძალი ნათესები და საძოვრები. ფერმერებმა შვევით ამოისუნთქეს. კაქტობლასის მატლს, განსაკუთრებული დამსახურებისათვის, კვინსლენდის შტატში, მდინარე დარლინგის სანაპიროზე აღუმართეს მონუმენტი წარწერით: „კაქტუსის გამანადგურებელს მადლიერი ფერმერებისაგან“.

## გლობუსი კომპლექსი

ამერიკის შვერთებული შტატების ქალაქ სოლტ-ლეიკ-სიტში (იუტას შტატი) აღმართულია გრანიტის უზარმაზარი კოლონა, რომელსაც თავზე ადგას მოზრდილი გლობუსი. გლობუსს გარს დასტრილებს ორი მეთოვლია. გრანიტის კოლონის კვარცხლბეკთან აუზია, რომელშიც ცურავენ ქალაქის ფრთოსანი ბინადარნი.

ეს ძეგლი მეთოვლიებს მადლიერმა მცხოვრებლებმა დაუდგეს 1870 წელს, როდესაც კეთილშობილმა ფრინველებმა მოსპეს კალია და შიმშილს გადაარჩინეს მოსახლეობა.

მდინარე ჯორდანზე, ზღვის დონიდან 1281 მეტრის სიმაღლეზე მორმონთა მიერ დაარსებული ქალაქის სოლტ-ლეიკ-სიტის მახლობლად მდებარე ტბა მლასეა. იქაურ კლდოვან მთებზე წყალი ძალზე ცოტაა, ჰავა მშრალია, ნალექები კი მცირე, ამიტომ ქალაქის გარშემო მიწები მწირია და მათი გამოყენება მორწყვის გარეშე შეუძლებელია.

ნათესებს ხშირად ანადგურებდნენ აგრეთვე კალიები და აი, XIX საუკუნის 60-იან წლებიდან ქალაქის მცხოვრებთ მფარველად გამოუჩნდათ მეთოვლიები, რომლებიც გუნდებდა დაფრინავდნენ და მუსრს ავლებდნენ კალიას. თეთრმა ფრთოსნებმა მრავალჯის გადაარჩინეს შიმშილს ქალაქის მცხოვრებლები, ამიტომ მეთოვლიებს ძეგლიც დაუდგეს.

## ქველი კუს

კუს არავითარი განსაკუთრებული დამსახურება არ მიუძღვის ადამიანის წინაშე, მაგრამ მას მაინც დაუდგეს ძეგლი ოკეანეთში, კუნძულ ტონგატაბუზე.

ტონგას არქიპელაგი ოკეანეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოა. მის დედაქალაქს ნუკუალოფას უკვე რამდენიმე საუკუნეა მეფეები ჰყავს.

1773 წელს ტონგას ეწვია ცნობილი ინგლისელი მოგზაური ჯეიმს კუკი. მან ტონგას მეფეს აჩუქა ზღვის დიდი კურომელსაც ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ტუიმალილა შეაჩუქეს. თითქოს აქ განსაკუთრებული არაფერია, მაგრამ კუკის ნაჩუქარი კუ ტონგას ცხრა მეფის სიკვდილს მოესწრო. ამ დღეგრძელობასთან დაკავშირებით ტუიმალილა ადგილობრივმა მცხოვრებლებმა წმინდა ცხოველად მონათლეს. მისი თავი ტონგას სამეფოს ფულზეც კი იყო გამოხატული. ამ ცხოველმა თავისებური რეკორდი დაამყარა და მოკვდა მხოლოდ 1970 წელს, ესე იგი 197 წლის ასაკში. აი, ამიტომ დაუდგეს მას ძეგლი ოკეანეთში.

## ქველი გავიხს

სხვადასხვა ექსპერიმენტული ცდების წარმატებით ჩატარებაში, ძალღთან ერთად, დიდი წვლილი შეაქვს ბაყაყს. და აი, ქალაქ სორბონის (საფრანგეთი) უძველესი უნივერსიტეტის ცნობილი პროფესორის, ფიზიოლოგ კლოდ ბერნარის (1813-1878) წინადადებით ძეგლი დაუდგეს ბაყაყს.

ბაყაყის ძეგლი არის აგრეთვე იაპონიაში — ტოკიოს სტუდენტებმა მას ეს პატივი სცეს ცდებისათვის 100 ათასი ბაყაყის გამოყენების შემდეგ.


ალაბამის შტატში ფერმერებმა ძეგლი დაუდგეს ბამბის ცხვირგრძელას. ამ მონუმენტის ისტორია საინტერესო და ჭკუის სასწავლებელია.


ალაბამაში დიდხანს მხოლოდ ბამბას თესავდნენ. სპეციალისტები ხშირად ლაპარაკობდნენ მონოკულტურის საფრთხეზე, მაგრამ მათ არავინ უსმენდა. გავიდა საკმაო დრო და მეცნიერთა ვარაუდი გამართლდა: 1910-1914 წლებში ბამბის მთელ პლანტაციებს მავნებელი მწერი — ცხვირგრძელა შეესია და დიდი ზიანი მიაყენა. ამ მავნებელი მწერის წინააღმდეგ ყველა საშუალება ამო გამოდგა. სასოწარკვეთილმა ფერმერებმა ხელი აიღეს ბამბის თესვაზე, რომელიც მათი არსებობის თითქმის ერთადერთი წყარო იყო, და დაიწყეს კარტოფილის, სიმინდის, საკვები ბალახების, მიწის თხილისა (არაქისი) და სხვა კულტურათა თესვა. აღმავლობის გზას დააღმა მეცხოველეობაც. ახალი სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესვა-მოყვანა უფრო მომგებიანი გამოდგა.

მადლიერმა ფერმერებმა ბამბის მავნებელ მწერს ცხვირგრძელას 1935 წელს ქალაქ ენტერპრისში ორიგინალური ძეგლი დაუდგეს: ქალაქის ცენტრალური ქუჩების გზაჯვარედინზე აღმართულია მონუმენტური კოლონა — მიწათმოქმედების ქალღმერთის ცერერას (იგივე დემეტრას) ოთხმეტრიანი ძეგლი. ქალღმერთს ორივე ხელით უჭირავს ლითონისაგან ჩამოსხმული ბამბის ცხვირგრძელა.

კვარცხლბეკზე წარწერილია: „მადლიერების უდიდესი გრძობით ბამბის ცხვირგრძელას — ჩვენი კეთილდღეობის მიზეზს“. ეს ძეგლი აღმართეს ალაბამის შტატის ქალაქ ენტერპრისის მცხოვრებლებმა.

## გრიგოლ ზარღალიშვილი.





# რუს რა სკაჯ

დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, რაც ამირა იბნ საულის ბრძანებით საულის არაბეთში დაიწყო პირველი სატელეფონო ხაზის გაყვანა. უეციი ხალხი გააფთრებით ეწინააღმდეგებოდა ამ ღონისძიებას. „ეს ურწმუნოთა ქვეყნიდან მოტანილი ჯოჯოხეთის მანქანაა“, — გაიძახოდნენ, „თუ ეს მართლა ასეა, მაშინ არ გავიყვანთ ტელეფონს, — უთქვამს იბნ საულს, — მაგრამ დასანანი კია მისი უარყოფა, თუ მართლა შეუძლია სარგებლობის მოტანა“. მან ბრძანა ეს მოწყობილობა ასე გამოეცადათ — ამდგარიყვენ და ყურმილში წაეკითხათ ნაწყვეტი წმინდა წიგნ-ყურანიდან, თუ ტელეფონი მართლა ეშმაკის მოგონილიაო, — დასძინა იბნ საულმა, — მაშინ წმინდა სიტყვები ველარ მიაღწევენ მეორე ბოლოში, ხოლო თუ ეს ასე არ მოხდა, მაშინ ტელეფონს ურწმუნო ძალებთან არავითარი კავშირი არ ჰქონიაო. ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ტელეფონმა შესანიშნავად ჩააბარა გამოცდა.

არის კი დღეს ვინმე ისეთი, რომ ეშინოდეს ტელეფონის?

არა გვგონია. მილიონობით ადამიანი ბავშვობიდანვე ხედავს და ეჩვევა ტელეფონის აპარატს, მაგრამ დაფიქრებით იშვიათად თუ დაფიქრდება ხოლმე ვინმე, როგორ მუშაობს იგი, რა მრავალფეროვანია მისი მოწყობილობა. განა ბევრმა თქვენგანმა იცის, რომ ყურმილის ხელში აღებისას, თქვენდაუნებლიედ აერთებთ ელექტრონულ რკალს და ტელეფონის სადგურზე მგრძნობიარე ხელსაწყოები გამოსცემენ მონოტონურ, უწყვეტ სიგნალებს რითაც გვატყობინებენ — მზად ვართ გემსახუროთო? ავკრფთ თუ არა რამდენიმე ციფრისაგან შემდგარ საჭირო ნომერს, ეს ჭკვიანი მოწყობილობა თქვენს აპარატს მეორე აპარატს შეუერთებს და ლაპარაკიც გაიბმება.

მიწისქვეშა კაბელების ფართო ქსელი ქალაქის ყო-


მობს — სხვადასხვა ქალაქებს ან სახელმწიფოთა შორის, — მაშინ ელექტროსხივები, რომლებიც ბგერებს შეეესატყვისება, უფრო შორეულ და რთულ გზას გადიან. აპარატიდან ეს სიგნალი ქალაქის სატელეფონო სადგურისაკენ მიდის, იქიდან საგანგებო კაბელებით საქალაქთაშორისო სადგურისაკენ და ასე მიემართება ხმა შორეულ ქვეყნებამდე. ეს სხივები, როგორც წესი, ისე ვარდაიქმნებიან, რომ მათთვის ცალცალკე ხაზი არ არის საჭირო. მრავალკაბელიანი ტელეფონის თანამედროვე მოწყობილობა წყვილ ხაზში ერთდროულად ატარებს ასობით და ათასობით ხმას. რხევა რომ არ დაიკარგოს, მას გზაზე გამაძლიერებელი სადგურები ხვდება. როცა რხევა დანიშნულების ადგილს მიაღწევს, იგი ისევ საქალაქთაშორისო სადგურში მოხვდება, მაგრამ ამჯერად თავისი „თანამგზავრების“ გარეშე, რომლებთან ერთად იგი ქალაქიდან ქალაქში მოგზაურობდა. ავტომატური მოწყობილობით, რომელიც აბონენტს ქალაქის საკაბელო-სატელეფონო ხაზს უერთებს, ბგერები გზას აგრძელებენ, სანამ ტელეფონის აპარატს არ მიაღწევენ. ასე გამოიყურება ყოველივე ეს დღეს. შეიძლება ითქვას, რომ ტელეფონმა მიაღწია სრულყოფას და აქ რაიმე გაუმჯობესებას აზრი აღარა აქვს (ცხადია, თუ ყველა ეს მოწყობილობა წესიერად მუშაობს). მაგრამ ინჟინრები სხვაგვარად ფიქრობენ, ახალი გამოგონებანი, თითქმის ყოველდღე რომ გადიან გამოცდას, სავსებით შეცვლიან ტელეფონს. საინტერესოა, როგორი იქნება ხვალისდელი ტელეფონი? დავიწყით თვით ტელეფონის აპარატით. ჩვეულებრივი დისკოს ნაცვლად ახალ აპარატზე იქნება ათ ან მეტციფრებიანი ლილაკი. ნომრის აკრეფა აღარ იქნება საჭირო, — ამ საქმეს თითის ოდნავი დაჭერით შეასრულებთ. დღეს ეს შეიძლება არც ისე დიდ მიღწევად მოგვეჩვენოს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ რომ უახლოეს მომავალში ტელეფონით გამოსაძახებლად რვა-ათი და კიდევ უფრო მეტი ციფრის აკრეფა დაგვჭირდება, მაშინ ნათელი გახდება, რომ ლილაკები გაცილებით უფრო მოსახერხებელია, ვიდრე ციფრებიანი დისკო — მათი საშუალებით ბევრად უფრო სწრაფად შევძლებთ საჭირო პუნქტებთან დაკავშირებას. თითოეულ ჩვენგანს





ჰყავს ახლობელი ან ნათესავი, რომლებთანაც ხშირად ლაპარაკობს ტელეფონით. მაშასადამე, ფასდაუდებელ სამსახურს გაგვიწევს ეგრეთწოდებული დამახსოვრებელი აპარატები. ისინი დაიმახსოვრებენ ყველაზე ხშირად ხმარებულ ნომრებს და აბონენტის გამოსაძახებლად ერთ ან ორ ლილაკზე თითის დაჭერადა იქნება საკმარისი.

დაახლოებით მეოთხედი საუკუნის წინათ იქნა გამოგონებული „ავტომატური მდივანი“. მაგრამ ეს მოწყობილობა კიდევ უფრო უმჯობესდება და ელოდება ფართო მომხმარებელს. იგი იმახსოვრებს აბონენტის ხმას და შემდეგ გადასცემს დამახსოვრებულს. ვიდეოფონის საშუალებით მარტო ხმას კი არ გავიგონებთ, არამედ ჩვენთან მოსაუბრესაც დავინახავთ. ამ გამოგონებას ზოგი ტელეფონის საოცრებად თვლის. ვიდეოფონის შესახებ



ჯერ კიდევ ერთი საუკუნის წინათ წერდნენ მწერალი-ფანტასტები, ხოლო პრაქტიკულად იგი ოცდათხუთმეტი წლის წინათ შეიქმნა. ცხადია, იმდროინდელი ვიდეოფონი დღევანდელთან შედარებით პრიმიტიული იყო. ამ გზაზე ყველაზე ძნელი ტექნიკური დაბრკოლებანი უკვე გადალახულია. ახლა ვიდეოფონის გავრცელებისათვის მთავარი დაბრკოლებაა არსებული „სატელეფონო ქსელი“ — იგი სრულიად არ არის გამოსადეგი იმისათვის, რომ ტელეფონის აპარატი ეკრანით აღიჭურვოს. მაგრამ დროთა განმავლობაში ხაზი გაუმჯობესდება და ის კაბელები, რომლებითაც არ შეიძლება გამოსახულების გადაცემა, შეიცვლება. მაგრამ რითი? ალბათ ახალი, გაუმჯობესებული კაბელებით, ან კავშირის სხვა სახეობებით. უფრო შორს რომ გავიხედოთ, დავინახავთ — მალე დადგება დრო, როცა ტელეფონი დაიწყებს ელექტრონიკის უდიდეს აღმოჩენათა გამოყენებას (ცდები უკვე ტარდება), მცირე ინტეგრალური სქემებიდან, კოსმოსური კავშირის თანამგზავრებაამდე. სპეციალისტები მსოფლიო სატელე-

ფონო კავშირს ქმნიან და მალე გაჩნდება უხაზო ტელეფონი. ამისათვის გამოყენებული იქნება თანამგზავრებელი მათი საშუალებით შესაძლებელი გახდება რადიოტელეფონის მქონე ადამიანთან დაკავშირება, დედამიწის რომელ კუთხეშიც არ უნდა იმყოფებოდეს იგი. დღეს ეს პროექტები ფანტასტიკურად გვეჩვენება, მაგრამ გაივლის დრო და ასეთი კავშირგაბმულობა ჩვეულებრივ ამბად მოგვეჩვენება. თქვენ რომ გაიზრდებით, ბევრი რამ უკვე მიღწეული იქნება ამ დარგში, სხვას კი თქვენი თაობა გააყეთებს.

უფრანლო „გორიზონტი ტენიკი“.

## გზატკეცილი ზღვის უსკერზე

იაპონიაში უკვე სერიოზულად ფიქრობენ იმაზე, თუ როგორ შეამცირონ ქუჩებში ავტომანქანების მზარდი ნაკადი, რომელიც საფრთხეს უქმნის მოსახლეობას.

ერთ-ერთი ფირმის მიერ შემუშავებული პროექტით საავტომობილო გზების ქსელი მოწყობილი იქნება წყალქვეშ ჩაწყობილ ფოლადის 5 მეტრი დიამეტრის მქონე მილებში.

მილები ჩაიწყობა მცირე სიღრმეზე. ოკეანის ზედაპირზე მოეწყობა წყალსზედა პატარა კუნძულები მანქანების სადგომად და საწვავით მოსამარაგებლად, რადგან ოკეანის ფსკერი უსწორმასწოროა, მილები განლაგდება როგორც ზედაპირზე, ასევე გვირაბებში, კიდული კონსტრუქციის ხიდებზე. ასეთი გზები ერთმანეთთან და ხმელეთთან დააკავშირებენ ხელოვნურ კუნძულებზე განლაგებულ საწარმოებსა და აეროდრომებს.

## მხოლოდ პელოსიპელით

ცათამბჯენების ეს ქალაქი, რომელიც ბოსტონის ახლოს ნაწილობრივ ხმელეთზე და ნაწილობრივ ზღვაში იქნება აგებული, დაპროექტებულია ამერიკის შეერთებულ შტატებში. მისი მთავარი დამახასიათებელია ის, რომ იქ არ იჭაჭანებს ავტომანქანა. ცათამბჯენები ერთმანეთს დაუკავშირდებიან ზღვის დონიდან 100 მეტრის სიმაღლეზე დაკიდებული ვეება მილების სისტემით. ამ კიდულ გამჭვირვალე გვირაბებში განლაგდება მოძრავი ტროტუარები და კონვეიერები მგზავრებისათვის განკუთვნილი სავარძლებით. ქალაქს მოემსახურება ზღვის ფსკერქვეშ გაყვანილი მეტროპოლიტენი, რომელსაც სადგურები ექნება ცათამბჯენების ყოველ კომპლექსთან. ჩვენთვის ჩვეული ტრანსპორტის სახეობებიდან იქ მოძრაობის უფლება მხოლოდ ველოსიპედს მიეცემა.

250 ათასი მცხოვრებისათვის გათვალისწინებული ქალაქი ხმელეთს დაუკავშირდება გვირაბით, რომელსაც ექნება ვრცელი მრავალიარუსიანი გარაჟები იმ მანქანებისათვის, რომელთა გამოყენება შეიძლება მხოლოდ ამ ქალაქის ფარგლებს გარეთ.



მყისვე ქვედა ტოტის წვერზე დასვა ჩაფრინდა, რომ იმ სტუმარს უფრო ახლოდან ეცქირა.

— ფარშავანგია. — ჩასხურჩულა მაქაონმა. — ფრინველთა შორის ულამაზესი. მისი წინაპრები შორეულ ინდოეთში დაბადებულან. შემდეგ კი მთელმა ქვეყანამ გაამრავლა ისინი — მოხიბლულმა მათი მშვენიერებით.

ნორჩმა პეპელამ, ისევ თავის საღაფრთებს გადახედა, ამოიოხრა... ფარშავანგმა ლამაზი თავ-კისერი მოიღერა და ტოტზე თავდახრილი პეპელა შენიშნა.

— რა გაგკირვებია, პატარავ? — ჰკითხა მკექარე ხმით.

— ეპ, ქვეყნად რამდენი ლამაზი ვინმე ყოფილა, მე კი სულაც არა ვარ ლამაზი და გული მტკივა. აი, შენი ბოლო, მრავალი ფერადი თვლებით არის დამშვენიებული, ერთი მაინც, რომ მქონდეს, ბედნიერად ჩავთვლიდი თავს.

ფარშავანგმა ნისკარტით ოთხი ფერადი თვალი ამოიძრო და ნორჩ პეპელას გაუწოდა:

— აჰა, ჩემს სახსოვრად გქონდეს, — უთხრა ღიმილით.

ნორჩმა პეპელამ ნანატრი საჩუქა-

# უკუეუნიისთუნი ჰეჰე

იპე ჩაქალილი

ზ ლ ა კ ა რ ი

მხატვარი ო. ჩხარტიშვილი

ეს მოხდა დიდი ხნის წინათ. ერთ პატარა ტოტზე პეპელა გაჩნდა. გაახილა თუ არა დიდრონი თვალები, მწვანე მიდამო დაინახა, ღიღილოს ყვავილზე კი, ჭრელ პეპელას მოჰკრა თვალი, მოეწონა და სახელი ჰკითხა:

— მაქაონი მქვია, — უთხრა ლამაზად მოხატულმა პეპელამ.

ნორჩმა პეპელამ ნაღვლიანად დახედა თავის საღაფრთებს და თავი ჩაქინდრა.

— წამოდი, ჩვენი უბანი დაგათვალიერებინო, — უთხრა მაქაონმა.

ნორჩი პეპელა გაუბედავად გაედევნა. იფრინეს, იფრინეს და ერთ ლამაზ ბუჩქზე შეისვენეს.

— ამ ბუჩქს, ტაბლაყურას ეძახიან, ხედავ როგორ ლამაზად ჩაბუდებულან წითელ ნაყოფში პატარა ნარინ-

ჯისფერი თესლები? ჩამოდი, უფრო ლამაზ ბუჩქსაც გჩვენებ. — და მაქაონი მახლობელ პატარა ბუჩქზე დასკუპდა. — ამ ლამაზ ბუჩქს ჭანჭყატა ჰქვია, ნაყოფს ოთხი ბუდე აქვს და ყოველ ბუდეში, თითო შავი თესლია მოთავსებული.

— ეს წითელი ნაყოფი რა წვრილ და გრძელ ყუნწზეა დაკიდებული, რა ლამაზად ირხევა! — გაიკვირვა ნორჩმა პეპელამ.

მეგობრები, ბოლოს, ვარდის ბუჩქზე ჩამოსხდნენ. ვარდის სურნელება ისე ესამოვნათ, რომ ოცნებაში გართულები მანამ ისვენებდნენ, სანამ ორთავენი უეცარმა შეყვივლებამ არ გამოაფხიზლა. მიიხედეს და...

— რა მშვენიერია! — წამოიძახა გაცივებულმა ნორჩმა პეპელამ და

რი უმაღლ ფრთებზე მიიკრა და გახარებულმა მეგობარს შესცინა.


— ამ დიდებული ფრთოსნის სახსოვრად, ამიერიდან გერქვას ფარშავანგისთვალა, — უთხრა მაქაონმა.

— ახლა ფარშავანგისთვალა პეპელა ვარ!

— ეს სილამაზე კი შენ მომანიჭე, მშვენიერო ფარშავანგო, ხოლო ცოდნა შენ შემძინე, კეთილო, მაქაონო! თქვენი ამაგი მუდამ მეხსომება და გული ყოველთვის მაღლიერების გრძნობით მექნება საესე.


ასე გასცა მაქაონმა ცოდნა, ასე გააჩუქა სილამაზე ფარშავანგმა, მაგრამ არც პირველს დაჰკლებია სიბრძნე და არც მეორეს წართმეგია მშვენიერება.

# »სიხუნა სახუნა«



ამ ბოლო დროს თბილისის ეზო-ქუჩებში გაჩნდა ერთი საინტერესო თამაში, რომელმაც თითქმის მთლად განდევნა ძველი „კლასობანა“. იგი მალე პიონერთა ბანაკებსაც მოედო და მთელს საქართველოში გავრცელდა.

გაცანით ნახაზებსა და თამაშის აღწერას: იშოვთ ჩვეულებრივი რეზინი, (უკიდურეს შემთხვევაში ბაწრის გამოყენებაც შეიძლება), არანაკლებ მეტრნახევარი სიგრძისა, ბოლოები გადააბით. რეზინის ერთი ნახევარი წითლად შეღებეთ. თამა-



შობს სამზე მეტი ბავშვი. ორი მათგანი — რეზინს მხრების სიგანეზე გაშლილ ფეხებზე წამოიკვამს, 15 სმ სიმაღლეზე იქმნება პატარა მოედანი. ამ მოედანში მესამე მოთამაშე ხტუნავს. იგი უნ-

და ეცადოს შეუცდომლად შეასრულოს სამი მოძრაობა: „რეზინი“, „თვითმფრინავი“ და „კამფეტი“, თუ რომელიმე მოძრაობაში ჩაიჭრა, მაშინ მან უნდა შეცვალოს ერთ-ერთი მოთამაშე, რომელიც რეზინს იჭერს. ვინც უფრო ადრე დაამთავრებს ყველა ვარჯიშს, გამარჯვებულიც ის არის (რეზინი შეიძლება ოთხ პალოზეც გაიჭიმოს).

## »კვიანი«

1. წითელი მხრიდან გვერდულად დადექი. რეზინს გადაახტ-გადმოახტი ისე, რომ ფეხი არ გამოსდო; 2. გვერდულად დადექი. ახტი და რეზინს აქეთ-იქით ფეხებით დააღექი. ახტი და მოედანში ჩახტი; მოედანში გვერდულად ჩადექი. ახტი, ფეხები გაშალე. რეზინს გადაახტი და ისევ მოედანში ჩახტი; 4. მოედანში გვერდულად ჩადექი და რეზინებს ფეხგაშლილი გადაახტი. ახტი, ფეხები გადააჯვარედინე (მარცხენა ფეხი წინ) და რეზინებს ფეხები გამოსდე. რეზინმა რეზინის მსგავსი ფორმა უნდა მიიღოს; 5. გააკეთე იგივე მოძრაობა, როგორც მეორე ვარჯიშია, ოღონდ, ახლა მარჯვენა ფეხი უნდა იყოს წინ.

## »თვით- პუკინაუი«


1. წითელ მხარესთან პირით დადექი, მიტყუპე-



## »ქანუბანი«

ბული ფეხებით გააკეთე ოთხი ნახტომი. ჯერ წითელს, მერე თეთრს გადაახტი, დაბოლოს, უკანაც ორივეს გადაეველე; 2. წითელ მხარესთან პირით დადექი. ახტი, წითელ რეზინს ფეხები გამოსდე, თეთრს გადაახტი და წითელიც თან გაიტანე; 3. ახლა ისე ძლიერ უნდა შეხტე, რომ წითელი რეზინი ფეხებიდან ასხლტეს, შენ კი პირიქით თეთრისაკენ დადგე; 4. ახტი, თეთრ რეზინს ფეხები გამოსდე, წითელს თავზე გადაეველე და დახტი; 5. ახტი და ჰაერში შეტრიალდი. თეთრი რეზინი ფეხებიდან მოიცილე და პირით თეთრისკენ დადექი.

1. წითლისკენ გვერდულად დადექი, ახტი, ფეხები გაშალე, თეთრს გადაახტი და თან წითელი გადაიტანე; 2. მარცხნივ გადახტი, ფეხები გაშალე და მარცხენა ფეხი თეთრ მხარეს გამოსდე; 3. ახტი და ფეხები ისე შეაერთე, რომ ორივე რეზინი ფეხებიდან ასხლტეს. დახტი თეთრი რეზინის იქით; 4. ორივე ფეხით ახტი, ფეხები თეთრ რეზინს გამოსდე და წითელს გადაახტი; 5. მარჯვნივ გადახტი, ფეხები გაშალე და მარჯვენა ფეხი წითელს გამოსდე; 6. ახტი, ფეხები შეაერთე, ისე, რომ ორივე რეზინი ჩამოცურდეს ფეხიდან. დახტი წითელს იქით.





# საშუალო სკოლის საზოგადოებრივი მეცნიერება

ლებელი, ცოტა ქინძი და დასხით ძმარი გემოვნებით ისე, რომ ოდნავ მომუავო იყოს. შემწვარი ხახვი ცხლადვე გაფტვევინთ და ჩააწყეთ ნიგოზის საწებელში. ხახვის შექამაღს მჭადთან ერთად მიირთმევენ.

მარილით და თევშე დალაგებულ პამიდორს თანაბრად მოასხით.

## მავზნის შეჭამადი

ერთ ქილა მავზნის შეურით ერთი სუფრის კოვზი პურის ფქვილი, დაუმატეთ წმინდად დაჭრილი ტარხუნა და კარგად გათქვიფეთ. ერთი თავი წმინდად დაჭრილი ხახვი მოშუშეთ ერთ სუფრის კოვზ ღორის ქონში, დაასხით ნახევარი ლიტრი წყალი და დადგით ცეცხლზე, როდესაც ადუღებას დააპირებს, ჩაუმატეთ პურის ფქვილი და მოაღუღების შემდეგ ჩაახალეთ ორი ათქვეფილი კვერცხი და გადმოდგით. შეჭამადი მზად იქნება.

ზომ სულ მარტივი საგანია სარეცხის სამაგრი. მაგრამ თავისი პირდაპირი დანიშნულების გარდა იგი შეგიძლიათ ათასი სხვა რამისთვის გამოიყენოთ. დახედეთ ამ ნახატებს და მიხვდებით, რომ სარეცხის სამაგრი შეიძლება: უკვილის ღეროს „ფეხზე დაუენება“;

გრძელი მავის გაკეთება, რადიოერტლის ჩასართავი ავტომატური ხელსაწყო მოწყობა, მარტივი საკეტის გაკეთება, ხსნართან ჯამში პინცეტის ჩადება.

პატარა ჩარჩოს დამაგრება, ფოტოფირის გარეცხვა, ვარდის უეკლოდ მოკრეფა, ძაბრში ჩაფენილი საფილტრავი ქაღალდის დამაგრება, ქაღალდის ძაბრის პირის დამაგრება, ცხელი ქვების სახურავის ისე აღება, რომ ხელი არ დაიწვა, პატარა ლურჯის ჩაქედება, ტუბოს თავის მოხდა, ტუბოს ჩამოკიდება, გირავში მილის ჩამაგრება, ჯოხზე მიკვრა და შორს მდებარე საგნების მიწვდენა.

## მკვანხე პამიდორის შეჭამადები

1

ოდნავ შეყვით ლებული (მკვანხე) პამიდორი შუაზე ან ოთხ ნაწილად გაჭერით, მოაყარეთ ცოტა მარილი და ერთხანს ასე გააჩერეთ. ტაფაზე ღორის ქონში მოხრაკეთ ხახვის თხელი ნაჭრები შევარდისფერებამდე და დააყარეთ მარილ-მოყრილ პამიდორს, შემდეგ მოშუშეთ ნელ ცეცხლზე. დაწყეთ ნიგოზი, თესლიანი ქინძი, შაშველავი, ნიორი, წითელი ან მწვანე წიწკა და გაქვინთ ნელთბილ წყალში; მარილი უყავით გემოვნებით, ჩაატერით რამდენიმე ღერო ოხრახუში და შეურით მოშუშულ პამიდორს ისე, რომ ოდნავ წვნიანი იყოს. კიდევ 5-10 წუთი ადუღეთ და პამიდორის შეჭამადი მზად იქნება. იგი განსაკუთრებით გემრიელია მჭადთან ერთად.

2

მკვანხე პამიდორი გარეცხეთ და ჩაყარეთ ადუღებულ წყალში. ხუთი წუთის დუღილის შემდეგ ამოალაგეთ და, ჭერ კიდევ ცხელი, ისეთიოდ ჩაქვით შუამდე, გულში ჩატენეთ ერთმანეთში არეული, წმინდად დაჭრილი ოხრახუში, ქინძი, წიწკა და მარილი, შემდეგ ღამაზად დაალაგეთ თევშე.

წმინდად დანაყილი ნიგოზი გემოვნებით შეაწავეთ ძმრით.



## კუჩინარია

რიაჭუნა  
საშხარკუნა

## გობრია სუპი

პამიდორი, მოხრაკული ხახვი, დაფნის ფოთოლი, მწვანელი და ცხიმი ადუღეთ წყლიან ქვანხე. კარგა ხნის დუღილის შემდეგ მასში ჩაალაგეთ გობრის დათლილი ნაჭრები. კარგი იქნება, თუ მაშინვე ზომაზე მარილსაც ჩააყარით (გობრია აღარ დაიშლება). როცა ეს ყველაფერი კარგად მოიხარშება, შეგიძლიათ ნაღებთან ერთად სუფრაზე მიიტანოთ.

## ბაჭიჭილა

კარგად გარჩეული, გასუფთავებული ნიგოზი დანაყეთ ვაფხვიერებამდე და დანაყიდ ნიორში გაქვინთ. ეს არის და ეს — გაწეწილა მზად იქნება. იგი პურთან ერთად იჭმება.

## ხახვის შეჭამადი ნიგოზის საწებლით

დუღებულში შეწვით საშუალო ჯომის ხახვის ბოლქვები, ცალკე დანაყეთ საკმაზი: 1 ჩაის ჭიკა ნიგოზი, 1 კბილი ნიორი, 1 ჩაის კოვზი ზაფრანა, ნახევარი ჩაის კოვზი უცხო სანე-

## ლოზიანი

ლოზიო (უკეთესია თეთრი ლოზიო) წინა დღით ჩაალბეთ, კანი გააცალეთ, მოხარშეთ. სქლად აწილეთ, ცხიმით (სჯობს ღორის ქონით) კარგად შეაწავეთ და ხაჭაპურივით გამოაცხეთ. ცხელ-ცხელ ლოზიანებს, იგივე ბაჭულებს, ფრინველის ფრთით ზემოდან ცხიმი წაუსვით.




## ჯინჯვისური ხაჭაპური

რაჭაში არის სოფელი ჯინჯვისი, ისიდანაც წარმოსდგება ამ ხაჭაპურის სახელწოდება.

ჯინჯვისურ ხაჭაპურზე ასე უთქვამთ: „არაყველიანი, არალოზიანი მაინც გემრიელი, მაინც ქონიანი“. ან კიდევ — „არალოზიანი — არაყველიანი, ცხელ-ცხელს მიაყულე სავსე ხელიანი“.

ნაღებში აურიეთ ერბო ან კარაქი. შიგ გაქვინთ წმინდად დაფქული სიმინდი და დადგით ცეცხლზე. ხარშვის დროს, რომ არ დაიწვას, ნელ-ნელა ურით. რომ მოიხარშება, გადმოდგით, შეაწავეთ მარილით (გემოვნებით), ჩაახალეთ კვერცხი და კარგად მოურიეთ. გააბრტყელეთ ცომი და უკვლავური ეს ზომიერად ჩაურთეთ გულში, შემდეგ კი გამოაცხეთ ჩვეულებრივი ხაჭაპურივით.

მანანა შერაზადიშვილი.





მხატვარ შიშკინის ხელმოწერას. ჩანს, იგი იყო ამ წამოწყების მოთავე. სუფრაზე ომბრენული ჭერაა თვით მასპინძლის ხელმოწერა. მუხრანელი წილს დიმიტრი ივანეს ძის შვილიშვილმა ე. დ. კამენსკაიამ სუფრა დ. ი. მენდელეევის მემორიალურ მუზეუმ-აჩვენეს გადასცა.

**ბაიწც დაზრინაპე**

ამ ათიოდე წლის წინათ მთელი მსოფლიოს პრესა შემოიარა „მფრინავი თევზების“ ფოტოსურათმა, რომელიც გადაიღო იმ დროს თოხმბეტი წლის ინგლისელმა მოსწავლემ ალექს სერჩმა.

ამას წინათ, ათი წლის შემდეგ, ბერჩმა განაცხადა: „მფრინავი თევზები“ მე თვითონ დავხატე ჩემი ოთახის ფანჯრის მინაზე და შემდეგ ცის ფონზე გადავიღე. „მფრინავი თევზების“ სპეციალისტად აღიარებულმა ლეონგარდ კრეპმა, რომელსაც ღრმად სწამდა, რომ ბერჩმა ნამდვილად „მფრინავი თევზების“ სურათი გადაიღო. ურჩანლის ტებს შემდეგი რამ უთხრა: „ბერჩის განცხადება არაფერს არ სცვლის. მე კვლავაც მტკიცედ მწამს „მფრინავი თევზების“ არსებობა“.

**საილო მსუბუქად დაღის**

შედარება — „საილოსავით მსუბუქად დაღისო“, ცოტა არ იყოს, სასაცილოდ უღერს. სინამდვილეში კი, საილო, მიუხედავად უზარმაზარი, თითქმის შვიდ ტონამდე სიმძიმისა, საოცრად მსუბუქად, რბილად დაბიჯებს, ჰანჭრობში არ ეფლავება. საილოს ჯოხს შეუძლია თითქმის უჩქამოდ გადავიდეს რკინიგზის ხაზზე და არც ნაყარი დააწინოს. საქმე ის არის, რომ როცა მიწაზე დაადგამს, საილოს ფეხი ბრტყელდება, როგორც შელატინით სავსე ტომარა. მაღლა აწეული კი კვლავ თავის ჩვეულებრივ ფორმას იღებს. ამიტომ საილო თვით უღრან ტერაშიაც კი უხმაუროდ დადის: ელასტიკური „ბალიშები“ — ფეხები ფიჩხის მტკრევის ხმას ახშობენ.

**უღიღისი კატალოგი**

ტიტანური შრომა მოუწევთ ჯონდონის ერთ-ერთი გამოცემლობის მუშაკებს, გამოცემლობისა, რომელმაც გადაწყვიტა, გამოსცეს საბეჭდი მანქანის გამოგონებლის — გუტენბერგის დროიდან (XV საუკუნე) დღემდე ევროპაში გამოსული ყველა წიგნის კატალოგი. კატალოგი გამოვა 800 ტომად, თითოეული ტომის მოცულობა იქნება ეწვირთლესი შრიფტით აწყობილი 700 გვერდი.

**რა ხნისაა ლიფტი?**

რა ხნისაა ლიფტი? „ასი წლისი“ — ტყვის ზოგიერთი, ვინც ელექტრობის აღმოჩენას გაითვალისწინებს. მაგრამ ეს პასუხი შეიძლება მცდარად ჩითვალოს. ერთი რომელიც ისტორიკოსი, მავალითად, იუწყება, რომ რომის იმპერატორი ნერონი თავის ქალაქართა სასახლის მეორე სართულზე ადიოდა მდიდრულად მორთული ხის ბაქანით, რომელსაც მონები ბაგირით ეწეოდნენ მაღლა. მაგრამ არც ნერონი გახლდათ სამგზავრო ლიფტის გამოგონებელი. მან ამ ლიფტის ვაკეთება შურის გამო ზრძანა მას შემდეგ, როცა ლაშქრობიდან დაბრუნებულმა ლეგიონერმა უამბო, რომ ბოსფორს გაღმა, აღმოსავლეთის ქვეყნებში, მეფეები დიდი ხანია სარგებლობენ ამ მოხერხებული ამწე მოწყობილობითა.

ასე რომ, არავინ იცის, რა ხნისაა ლიფტი.



**ჰველახე ძვირადღირებული ვიოლინო**


მსოფლიოში ათიათასობით ვიოლინოა, ამასთანავე მათი წარმოება დღითი დღე იზრდება. მაგრამ დღესდღეობით არ არის ამ საქმის ისეთი სრულყოფილი ოსტატი, როგორც იყო იტალიელი ანტონიო სტრადივარიუსი (1644-1787 წ.წ.). მხოლოდ ის ფლობდა საიდუმლოს, რაც საშუალებას აძლევდა შეექმნა განუმეორებელი უღერადობის ვიოლინოები. სტრადივარიუსის ზოგი ვიოლინო დღემდე შემორჩა და უძვირფასეს რელიკვიად ითვლება. ცნობილი პავანინი სტრადივარიუსის ვიოლინოზე უკრავდა.

ამ ცოტა ხნის წინათ სტრადივარიუსის ერთ-ერთი ვიოლინო გაიყიდა 28 ათას გირვანქა სტერლინგად (დაახლოებით 150 ათასი მანეთი). ეს ვიოლინო თავისი წითელი ფერის გამო „წითელ ბრილიანტად“ იწოდება. ვიოლინო შეიძინა ლონდონის ფირმა „მაილმა“, რომელიც ხელფენების ნიმუშების ყიდვა-გაყიდვას ეწევა. სტრადივარიუსის მეორე ვიოლინო ასევე ლონდონში გაიყიდა 84 ათას გირვანქა სტერლინგად, დაახლოებით 480 ათას მანეთად.

**უნიკალური სუფრა**

დიდ რუს სწავლულს დ. ი. მენდელეევის გატაცებით უყვარდა და კარგად ესმოდა ფერწერული ხელოვნება. „მენდელეევიების ოთხშაბათზე“ ბევრი სტეტერბურგელი მხატვარი — ფუნჯის ოსტატთა სხვადასხვა სკოლის წარმომადგენელი იკრიბებოდა. თვით დიმიტრი ივანეს მე ამბობდა: „ჩემს მეგობრობას მხატვრებთან განაპირობებს ის გარემოება, რომ „პეიზაჟსა და ბუნებისმეტყველებას აქვთ შემეცნების ერთი წყარო — ბუნება“. „მენდელეევიების ოთხშაბათების“ უტყვი მოწმე იყო ავტოგრაფების სუფრა. მასზე ავტოგრაფი ჩნდებოდა უმაღვე, როგორც კი სტუმარი პირველად გადმოაბიჯებდა ამ ოჯახის ზღურბლს. სასტუმრო ოთახში მაგიდაზე გადაფარებულ სუფრაზე მუდამ იდო კარგად წათლილი ფანჯარი რომელიც სტუმარი ხელს აწერდა სუფრაზე. ეს წარწერა რომ არ წაშლილიყო, ოჯახის დიასახლისი ანდა ქალიშვილები უმაღვე ფერადი ძაფით მოქარავდნენ ავტოგრაფს. უფრო ხშირად კი ამ საპატიო მისიას ასრულებდა მენდელეევის ქალიშვილი — ლუბა დიმიტრის ასული — ალექსანდრე ბლოკის მომავალი მეუღლე.


სუფრაზე ამოქარავულია ასობნობცდა-თოხმბეტი ავტოგრაფი. აქ არის მხატვრების — ვოლოკვის, კუინჩისკ რეპინის, იაროშენკოს, ბრუხის, მოქინდაკეების — ანტოკოლსკისა და გინზბურგის, კრიტიკოს ვლადიმერ სტასოვის ავტოგრაფები. სუფრის თითქმის მთელი ცენტრი უკავია







მერცხლები



**შარადა**  
 ის, რაზეც ქული  
 გახურავს,  
 წინა ნაწილად გვირდება,  
 ოღონდაც სიტყვას  
 ზედმეტი  
 მესამე ბგერა სცილდება.  
 ბოლო ნაწილის მიგნებას  
 ფიქრი არ უნდა წამითაც:  
 შენს მკერდში  
 ჩასახლებული,  
 მუშაობს დღით და  
 ღამითა.  
 ახლა შეკრიბე ორავე,  
 შარადა გამოიცანი, —  
 დაე მას დარჩეს  
 საჩუქრად,  
 ყველაზე მარჯვე  
 ვინც არის.

უ. აშირანაშვილი.

ტელეფონის მავთულზე 25 მერცხალი იქდა, ვიღაცამ და-  
 აფრთხო და 5 გაფრინდა, მათ შორის იყო მე-17. ამის შემ-  
 დგ თითოეულ ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ რიგში  
 ოთხ-ოთხი მერცხალი დარჩა. შემდეგ 5 მერცხალი კიდევ გაფ-  
 რინდა, მათ შორის იყო მე-8; თითოეულ ჰორიზონტალურ  
 და ვერტიკალურ რიგში სამ-სამი მერცხალი დარჩა. მესამედ  
 და მეოთხედაც ხუთ-ხუთი მერცხალი გაფრინდა, მათ შორის  
 იყვნენ მე-20 და მე-6. თითოეულ ჰორიზონტალურ და ვერ-  
 ტიკალურ რიგში ჯერ ორ-ორი, ბოლოს კი თითო მერცხა-  
 ლი დარჩა.

რომელია ის ხუთი მერცხალი, მავთულზე რომ დარჩნენ?

პროსტორდი

თარაზულად: 1. ოზონი; 6. აზერბაიჯანი; 8. აშერიკა; 10. იბარუტი; 14. ესკორტი; 15. პრიზმა; 17. ფრანგი; 19. რენესანსი; 23. კათხა; 24. იანკი; 25. სიტრო; 26. არმია; 27. დაშნა; 30. ლორდი; 31. რაიხსტაგი; 32. უირაფი; 33. აბზაცი; 34. ფორინტი; 36. პირქუში; 38. სტაიერი; 39. მიტროპოლიტი; 40. ციცია.  
 შევუღალად: 2. ზებრა; 3. ნაიბი; 4. მერიმე; 5. ნაბადი; 7. ამნეზია; 8. არსიანი; 11. ბარათაშვილი; 12. კოქსი; 13. რეგენერაცია; 12. არბიტრი; 17. ფინიკია; 18. აკილო; 20. ნარდი; 21. ნარმა; 22. ქიშია; 28. ანარქია; 29. ასლი; 30. ლაზიერი; 34. ფაუსტი; 35. იტალია; 37. იგორი; 38. სიონი.

საკიბელები

ჩეკურიშვილი ვ. — შენ, ალაზნო, სად მიხვალ... (წერილი) გარეკ.	2	შიშკოვი ვ. — საბჭოთა მიწის სუსანი (მოთხრობა, თარგმანი თ. ჯავახიშვილისა)	22
მგელაძე ნ. — შორია ბერლინამდე (დოკუმენტური მოთხრობა)	44	დარსაველიძე ნ. — შემოდგომა (ლექსი)	24
შამგრიანი ს. — მტევანი: დიდი ძილის წინ (ლექსები)	11	ზარდალიშვილი ვრ. — არჩვეულებრივი ძეგლები (წერილი)	24
ალხაზიშვილი გ. — დედაენა: უსათაურო (ლექსები)	11	ტექნიკის სიახლენი	26
ჟღენტი ვ. — კიდევაც დაიზრდებიან... (ნარკვევი)	12	ჩაკალიდი ე. — ფარშავანგისთვალა პეპელა (ზღაპარი)	28
პიონერული ცხოვრების მატრიანე	14	თამაშობები	29
ჭიჭინაძე გ. — ცრუმზისა (პიესა. დასასრული.)	15	გამოგადგები	30
ახალ წიგნები	21	ჯადოსნური სარკე	31
		ცხრაკლიტული	32

გარეკანის 1-ლ გვერდზე — „შემოდგომა“, ნახტი ჯიშალ ლოლუასი.

მთავარი რედაქტორი ბაბუღია შელია.  
 სარედაქციო კოლეგია: შოთა დვდარიანი, სერგო კლდიაშვილი, მუხრან ლეზანიძე, ზურაბ ლეშაშვილი (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, გიორგი ძლიზაძე, ნოდარ შამანაძე, ზურაბ ჭუმბურიძე, გიორგი ფიცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი).

ჩვენი მისამართი:  
 თბილისი, ლენინის ქ. № 14.  
 ტელეფონები:  
 რედაქტორის — 93-97-05  
 93-31-31  
 პ/მგ. მდივნის  
 93-97-08 93-53-05  
 განყოფილებების — 93-97-02  
 93-97-01

საქ. კმ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი ლენინის ქ. № 14.  
 «ПИОНЕРИ», на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии  
 Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14.  
 გადგეცა ასაწყობად 17/VII-73 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 27/IX-73 წ. ქალაქის ფორმატი 60x90<sup>1</sup>/<sub>8</sub>. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. საარბიტრაჟო-საგამომცემლო თაბანი 4,19.  
 შეჯვ. № 2780. ტირ. 131.000. უფ 01976.

ფახი  
 20  
 კაპიტი





საქართველოს  
საგარეო ურთიერთობების  
სამსახური

საგარეო ურთიერთობების სამსახური

საგარეო ურთიერთობების სამსახური